ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

3Ფ[ფკბ სფჯ,ფ4+
F B Y I F B Y B
* კფჰბ
@*3ფჰნზლფყ



gfhfcrtdb7 !# fghbkb7 @)!@ 188 (5778) afcb5 #) stshb

# სოზარ სუბარი: ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა ხელისუფლებიდან მოდიოდა“

ნუგზარ წიკლაური: ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური სიცოცხლე ნამდვილად საფრთხეშია



გვ. 3





## გიორგი ტუღუში: პატიმრებს ფსიქოტროპულ პრეპარატებს ურიგებენ“ გვ. 4

## საქართველო სიღარიბის მხრივ ბოცვანასა და ანგოლაზე უარეს დღეშია გვ. 6



გვ. 2

## აკაკი მინაშვილი: ბაღათურიას მხოლოდ ფული აინტერესებს

„ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა ხელისუფლებიდან მოდიოდა“



გვ. 5

## როგორ ავაშენოთ ლაზიკა? — მთავრობა საგონებელშია

## გია ბურჯანაძე: ხელისუფლებას არ გავურიგდებით!“

## ხორციელდება თუ რა მეცხრე არხზე“ გვ. 6 ზეწოლა



გვ. 3

## ახალგახსნილ საავადმყოფოებში გვ. 4 შეიძლება ინფექცია აიკიდო



გვ. 2

## კუკავას პარტიას ებრალიძე დაუფინანსებს

ISSN 1987-9385

2 საქართველოში მიწისძვრა მოხდა

7 პუტინს აფხაზეთის მიმართ ახალი გეგმა აქვს

5 ირაკლი სესიაშვილი: თუ ჩვენ ნატოში ინტეგრაცია გვინდა, ასე მარტივად ყველას იარაღს ვერ მივყიდით

7 საქართველოს ვერავინ შეაჩერებს

# კუკავას პარტიას ებრალიძე დააფინანსებს

**საუბრები იმის შესახებ, რომ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას პეტერბურგელი მილიარდერი ალექსანდრე ებრალიძე აფინანსებდა, კარგა ხანია არ წყდებოდა. დღეს კი ცნობილი ხდება, რომ კუკავას პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას სწორედ, „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ პრეზიდენტი ალექსანდრე ებრალიძე და მისი წევრები დააფინანსებენ. ამის შესახებ კონგრესის თავმჯდომარე ალექსანდრე ებრალიძემ და კახა კუკავამ ერთობლივი განცხადება გუშინ გაავრცელეს.**


კახა კუკავა

ქეთი ხომერიკი

,,საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ქვეყანაში დაამყარა ტირანია. სააკაშვილის რეჟიმი მოქმედებს მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი ერის წინააღმდეგ. არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის კონსტიტუციურ გზას თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებით რეჟიმის ცვლილება წარმოადგენს. საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი“ მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ქართული ოპოზიცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხელისუფლებას ერთიანი ფრონტით დაუპირისპირდებოდა, თუმცა, ცალკეულმა პოლიტიკურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ითანამშრომლებენ მხოლოდ პროამერიკული შეხედულებების მქონე სუბიექტებთან, რის გამოც ოპოზიციის ერთობა ვერ შედგა. „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი“ და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორა მხარს უჭერს პარტია „თავისუფალ საქართველოს“, ვინაიდან ამ პარტიის პოლიტიკური კურსი ეფუძნება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. კონგრესი გაუწევს ორგანიზებას საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის პროცესს. საზღვარგარეთ ცხოვრობს დაახლოებით 800.000 ამომრჩეველი. კონგრესი მოახდენს მათ რეგისტრაციას და არჩევნების დღეს ორგანიზებას გაუწევს საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის პროცესს. გარდა ამისა, კონგრესის წევრები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, კანონით დადგენილი ნორმების დაცვით, განახორციელებენ შემოწირულობებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ანგარიშზე. ჩვენ პერიოდულად წარვუდგენთ საზოგადოებას გაწეული სამუშაოს ანგარიშს“ – ნათქვამია ,,თავისუფალი საქართველოსა“ და ,,საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ ერთობლივ განცხადებაში.

კუკავას პარტიამ და ,,საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა“ ერთობლივი ვიდეო კონფერენცია პრესატივი.ჯი-ის პრესკლუბში გუშინ გააკეთეს. ალექსანდრე ებრალიძე პეტერბურგიდან სკაიპით ჩაერთო. ალექსანდრე ებრალიძემ საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტია ,,თავისუფალი საქართველოს“ და მისი ლიდერის, კახა კუკავასადმი სრული მხარდაჭერა დაადასტურა და ერთობლივი მიზანი დასახეს, რაც საქართველოს პარლამენტში ,,თავისუფალი საქართველოს“ შესვლას გულისხმობს. როგორც ებრალიძე აცხადებს, იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ვერ ახერხებს და შესაბამისად, პოლიტიკურ პროცესებში ვერ ერთვება, გადაწყვიტა, მხარი „თავისუფალ საქართველოს“ დაუჭიროს.

,,საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი“ და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორა მხარს უჭერს პარტია „თავისუფალ საქართველოს“, ვინაიდან ამ პარტიის პოლიტიკური კურსი ეფუძნება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. კონგრესი გაუწევს ორგანიზებას საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის პროცესს, მოახდენს მათ რეგისტრაციას და არჩევნების დღეს ორგანიზებას გაუწევს საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის პროცესს“ – განაცხადა ებრალიძემ.

გარდა ამისა, როგორც ებრალიძე განმარტავს, კონგრესის წევრები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, კანონით დადგენილი ნორმების დაცვით, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ანგარიშზე შემოწირულობებსაც განახორციელებენ. ებრალიძისვე განცხადებით, სააკაშვილის რეჟიმი მოქმედებს მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი ერის წინააღმდეგ, პარტია ,,თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური კურსი კი, ეროვნულ ინტერესებს ეფუძნება.

,,საქართველოს მსოფლიო კონგრესში გაერთიანებულია 450 000 ადამიანი, უმეტესობა საქართველოს მოქალაქე არაა. პირადად მე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეობას არ მაძლევს. ჩვენ მივიღეთ საერთო გადაწყვეტილება, რადგან მე პირადად და კონგრესის სხვა წევრებს არ აქვთ საშუალება, მიიღოს პირადი მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ მხარს დავუჭერთ პარტია ,,თავისუფალ საქართველოს“ და მის ლიდერს, ბატონ კახა კუკავას. ეს მხარდაჭერა იქნება სრული, როგორც მორალური, ისე მატერიალური“, – განაცხადა ებრალიძემ. მისივე განცხადებით, ყველა მათი ერთობლივი ქმედება საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში იქნება.

კახა კუკავას განცხადებით კი, უცხოეთში ქართული დიასპორის ლობირება უნდა მოხდეს. მისივე თქმით, აუცილებელია ქართული დიასპორა წარმოჩენილი იყოს ერთიან ძალად, რომელიც თავის როლს შეასრულებს მათ შორის ქართულ პოლიტიკაში.

,,ჩვენი დიასპორა, რომელიც უზარმაზარი ძალაა და რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყანაში ქართული სახელმწიფოს მიერ არაა გამოყენებული პირიქით, დღევანდელი ხელისუფლების მიერ, ერთგვარად საფრთხედ არის წარმოჩენილი. ჩვენი ამოცანაა დიასპორა წარმოჩენილი და გამოყენებული იქნეს ეროვნული ინტერესებისათვის. ამ თვალსაზრისით, ჩვენ გვექნება მჭიდრო თანამშრომლობა ,,საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონკრესთან“, – განაცხადა კუკავამ. ,,თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის განცხადებითვე, პროექტი, რომელიც თავის დროზე ონიშჩენკოსთან დაიწყო და რომელიც ქართული ექსპორტის რუსეთის ბაზარზე განახლებას ისახავს მიზნად, სწორედ პარტია ,,თავისუფალი საქართველოს და ,,საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ ერთობლივი პროექტია. რაც შეეხება ამ მატერიალურ დახმარებას, კუკავას თქმით, მატერიალური დახმარება გამჭვირვალე იქნება. ,, ,,ბანკში ერთი თეთრი, რომ მოხვდება, ჯერ ინფორმაცია მიდის მოგელაძესთან, მერე ჩემთან. ჩვენ ორ კვირაში ერთხელ, პრეზენტაციებს წარვუდგენთ საზოგადოებას, რადგან მიგვაჩნია, რომ საზოგადოება უნდა ფლობდეს ინფორმაციას რა წყაროდან და რამდენი დაფინანსება გვაქვს. ეს დასამალი არაა“, – განაცხადა კუკავამ.

ისიც ცნობილია, რომ კუკავა რუსეთს მაისის ბოლოს, ან ივნისის დასაწყისში ეწვევა. მისი თქმით, იგი რუსეთში დუმის ყველა ფრაქციის ლიდერს, ოპოზიციის წარმომადგენლებსა და რუსეთის სანიტარიული უწყების ხელმძღვანელს შეხვდება.

„რუსეთში რეგულარული შეხვედრები მაქვს და მომავალშიც ვგეგმავ ვიზიტს მას შემდეგ, რაც იქ ხელისუფლების გადაცემის პროცესი დასრულდება. ამ ეტაპზე შეხვედრის მთავარი საკითხი იქნება ის პროცესი, რომელიც რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტის განახლებას ეხება“, – განაცხადა კუკავამ.

,,თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი არ გამორიცხავს, რომ წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა რუს სამხედროებს პროვოკაციები მოუწყოს. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი ყველანაირად შეეცდება, რომ ომის საკითხების ისტერიკაზე გადართოს წინასაარჩევნო კამპანია.

„რაც შეეხება რუსეთში საქართველოსთან ომზე საუბარს, ეს საკითხი მოსკოვში სასაცილოდაც არ ყოფნით“, – აღნიშნა, კუკავამ.

მისი მტკიცებით რუსეთში ეს საკითხი, როგორც საჯაროდ, ისე კულუარებში სერიოზული განხილვის თემა საერთოდ არ არის. მაგრამ თუ საქართველოს ხელისუფლება მოინდომებს, შეძლებს გაებას ისეთივე ხათაბალაში, როგორშიც 2008 წლის აგვისტოში გაება. „ავტორიტარული მმართველები საშინაო პრობლემების გადაწყვეტას საგარეო საფრთხეების აქტუალიზაციის გზით ცდილობენ. მათ შორის სააკაშვილიც. როცა 2008 წლის 21 მაისს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დროს, ე.წ. ხურჩის ინციდენტი მოხდა. კენჭისყრის დღეს სახელისუფლებო არხების საინფორმაციო გამოშვებები გაიხსნა არა იმით, თუ რომელი პარტია სად და რა აქტივობას ეწეოდა, არამედ იმ ინფორმაციით, რომ გალის სოფელში აფეთქდა ავტობუსი. სინამდვილეში ამ ოპერაციას სანოძე და შს მინისტრი ხელმძღვანელობდნენ. არანაირი რუსული და აფხაზური კვალი არ არსებოდა და ეს იყო პროვოკაცია“ ,– განაცხადა კუკავამ. აქედან გამომდინარე, თავისუფალი საქართველოს ლიდერი მიიჩნევს, რომ რუსეთთან მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით საუბრისას, რეალურად ორი საფრთხის განხილვა უნდა მოხდეს. „ერთი ის, რომ ხელისუფლება ამ პროვოკაციებზე დაყრდნობით შეეცდება არჩევნების ჩატარებას და მეორე, ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთის გამოწვევა იქნება, რადგან ამ შემთხვევაში რუსეთი დათვის პოზიციაშია, ბევრ რამეზე რეაგირებას არ აკეთებს, მაგრამ როცა აკეთებს, აკეთებს ძალიან მძიმედ. როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში“ – აღნიშნა კახა კუკავამ.

## დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ წევრები მათზე მომხდარ თავდასხმას აპროტესტებენ

„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ წევრებმა გუშინ აქციაზე, მიმდინარე წლის 9 აპრილს მემორიალთან მათზე თავდასხმის ფაქტები გააპროტესტეს.

„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ თავმჯდომარის მანუჩარ სიგუას განცხადებით, ადამიანები, რომლებიც მემორიალთან სანთლების დასანთებად და ეროვნული გმირებისთვის პატივის მისაგებად მივიდნენ, ხელისუფების წარმომადგენლებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით ტერიტორიიდან გაიყვანეს.

მისივე თქმით, დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წევრს გენადი კეკელიას სხეულზე დაზიანებები ახლაც აღენიშნება.

„9 აპირლის მემორიალთან მისვლა მთელ ერს თავისუფლად უნდა შეეძლოს. გენადი კეკელია ფიზიკური ზეწოლის შემდეგ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა სხვა მიმართულებით გადაიყვანეს, რაც ასევე უკანონობაა. იგი სამედიცინო ექსპერტიზას გაივლის და ამის შემდეგ შესაბამის ორგანოებს მიმართავს“– განუცხადა „ნიუსპრესს“ სიგუამ.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ხელისუფლების ქმედებები იმას მოწმობს, რომ ხალხს მემორიალთან მისვლა ეკრძალება.

აფხაზეთიდან დევნილი მანანა გაბელიას თქმით, იგი 9 აპრილს მემორილთან საავადმყოფოდან მივიდა და საღამომდე დარჩენას აპირებდა, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს.

„ნაოპერაციევი ხელის კვრით გამიყვანეს. ვინც კი გადამეფარა, ყველა სცემეს. აი, სწორედ ასეთია ეს ე.წ. ხელისუფლება და ამიტომ ვებრძვით მას“– განაცხადა გაბელიამ.

ნიუსპრესი

## საქართველოში მიწისძვრა მოხდა



საქართველოში გუშინ, გამთენიისას 3,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა.

როგორც „ნიუსპრესს“ ილიას უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, მიწისძვრა დმანისიდან დასავლეთით 21 კილომეტრში, სოფელ სოლუთლოსთან მოხდა. მიწისძვრა 04:16 საათზე დაფიქსირდა. მისი ბიძგები თბილისშიც იგრძნობოდა.

სეისმოლოგების განცხადებით, მიწისძვრა სუსტი იყო და მას რაიმე სახის ზიანი არ გამოუწვევია. მიწისძვრის შემდეგ, განმეორებითი ბიძგები არ დაფიქსირდა.

ნიუსპრესი

## მედიაგაერთიანებამ სპეციალური პეტიცია შეიმუშავა

კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან გამართულ აქციაზე მედიაგაერთიანება „სოლიდარობა მედიის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლებმა პეტიცია გაავრცელეს.

როგორც პეტიციაშია ნათქვამი, ეროვნული კომისია სიხშირეების დარეგულირების ნაცვლად, თავისუფალ ტელეკომპანიებზე ზეწოლის მექანიზმად ჩამოყალიბდა. მედიაგაერთიანებას მაგალითად კომისიის მიერ სიხშირეების უკანონო გამოყენებისთვის ტელეკომპანია „თრიალეთის“ დაჯარიმება მოჰყავს და აცხადებს, რომ კომისიას ამ გადაწყვეტილების არგუმენტი არ წარმოუდგენია.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შ.პ.ს ტელე-რადიოკომპანია „თრიალეთი“ 5 000 ლარით გორში რადიოსიხშირული სპექტრის ულიცენზიო გამოყენებისთვის დააჯარიმა.

მედიაგაერთიანება მოითხოვს, თავისუფალ მედიაზე ზეწოლის შეწყვეტას და მათ თანაბარუფლებიან პირობებში ჩაყენებას.

მედიაგაერთიანების აქცია – „მარეგულირებელო არეგულირე, ნუ ზღუდავ!“ კომისიის შენობასთან გუშინ გაიმართა.

ნიუსპრესი

# აკაკი მინაშვილი: ბაღათურიას მხოლოდ ფული აინტერესებს

თეა მარჩვაიძე

მმართველი გუნდი და ჯონდი ბაღათურია გუშინ კიდევ ერთხელ შეიბნენ. ცნობილი გახდა, რომ პარლამენტი „ქართულ დასსა“ და ეროვნულ ფორუმს სატელევიზიო რეკლამებისთვის დამატებითი თანხის გამოყოფაზე უარს უცხადებს,



რაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანამ გამოიწვია. პროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე და შედეგის მქონე პარტიებს სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად დამატებითი თანხა გამოეყოფათ. ეს თანხა საარჩევნო სუბიექტისთვის მასში შემავალი პარტიებისთვის ჯამურად 600 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. „ქართულ დასსა“ და ეროვნულ ფორუმს, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობდნენ, ამ თანხის მიღების შესაძლებლობა არ ექნებათ. ეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას „ქართული დასის“ ლიდერმა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ჯონდი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გია ბურჯანაძე: ხელისუფლებას არ გავურიგდებით!“

თეა მარხვაიძე

რატომ არ დაგმო ეს ფაქტი ოპოზიციამ, რას ნიშნავს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული განცხადება ამ თემებზე „ახალ თაობას“ სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი, მსახიობი გია ბურჯანაძე ესაუბრება.

> 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე რამდენიმე ინციდენტი მოხდა. სამართალდამცავებმა იქ რამდენიმე ადამიანი დააკავეს, ზოგს ქვები დაუშინეს, ზოგს კი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სახალხო კრების წარმომადგენლებს კი პირობა მისცეს, კიდევ ერთხელ გადაგივლითო. ამასთან დაკავშირებით კრებამ რამდენიმე განცხადება გააკეთა. საინტერესო ისაა, რომ ეს ფაქტი ოპოზიციას არ დაუგმია.


გია ბურჯანაძე

**გია ბურჯანაძე:**

– ის, რაც 9 აპრილს მოხდა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ჩვენ როცა მივედით რუსთაველზე, იქ დაგვხვდა პოლიციის კორდონი. მათ გვითხრეს, მოითმინეთ, სამთავრობო ღონისძიება ტარდებაო. დაღუპული ადამიანებისთვის პატივის მიგება როდიდან გახდა სამთავრობო ღონისძიება, ნამდვილად არ ვიცი. პოლიციელების უკან სამ-ოთხ რიგად იდგნენ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირები, რომლებიც პირდაპირ გვემუქრებოდნენ.

***– რას გეუბნებოდნენ?***

– „თქვენ აქ რა გინდათ“, „აქ რატომ მოხვედით“, „თავის დროზე უნდა გადაგვევლო თქვენთვის“, „აწი გადაგივლით“. ასეთი სახის მუქარებს ჰქონდა ადგილი. ეს გახლავთ ჩამოყალიბებული ფაშისტური რეჟიმი.

***– 9 აპრილს რუსთაველზე სხვა ოპოზიციონერებიც იყვნენ. მათი დიდი ნაწილი ასეთ შარში არ გახვეულა. თქვენ რით გააღიზიანეთ ხელისუფლების წარმომადგენლები იმ დღეს? რაიმე განცხადება გააკეთეთ?***

– ჩვენ იმ დღეს არ გაგვიღიზიანებია ხელისუფლება. ჩვენ გვაქვს ერთი დანაშაული, რომელსაც არ გვპატიობენ.

***– რა დანაშაული?***

– ჩვენ ღიად განვაცხადეთ, რომ ამ ხელისუფლებას არ გავურიგდებით. ყველამ იცის, რომ მათთან თანამშრომლობას არ ვაპირებთ.

***– რატომ არ აპირებთ თანამშრომლობას?***

– იმიტომ, რომ დამნაშავეები არიან. დამნაშავე ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არ შეიძლება. 1989 წლის 9 აპრილს როდიონოვმა გადაუარა ქართველ ხალხს. ზუსტად იგივე ადგილას უკვე ქართველმა ხელისუფალმა გადაუარა ქართველ ხალხს. მან უფრო სასტიკი მეთოდი გამოიყენა. როდიონოვთან შეიძლება გარიგება? რა თქმა უნდა, არა. ესენიც როდიონოვები არიან, ქართველი როდიონოვები და მათთან მით უმეტეს, არ შეიძლება გარიგება. იციან ჩვენი ასეთი დამოკიდებულება და ამიტომაც გვმტრობენ ასე ძალიან. სხვებს სხვანაირად იმიტომ ექცევიან, რომ რაღაცის იმედი აქვთ.

***– რისი იმედი, ბატონო გია?***

– იმედი აქვთ, რომ გარკვეული ძალები მათთან ითანამშრომლებენ. ჩვენ კი ამას ვერ დავუშვებთ, რადგანაც იმის პატიება, რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა არ შეიძლება.

***– 9 აპრილს მომხდარ ინციდენტს დავუბრუნდეთ. ამაზე რამდენიმე განცხადება გააკეთეთ, ოპოზიციას კი რეაქცია არ ჰქონია, ეს რას ნიშნავს?***

– 26 მაისის დარბევის შემდეგ იყო რეაქცია? სამწუხაროდ, არ იყო. საქმე სწორედ ამაში გახლავთ. ოპოზიციური პარტიები მხოლოდ თავის მომხრეებზე ზრუნავენ. ხმაურს მაშინ იწყებენ მხოლოდ თუ მათ მომხრეებს შეემთხვევა რამე, მე გავიხსენებ შარშანდელ 26 მაისს. მაშინ ოპოზიციას ძალიან უცნაური რეაქცია ჰქონდა. ხელისუფლების მაგივრად ისინი პასუხს მე, ნონა გაფრინდაშვილს, რეზო ესაძეს, ლუკა კურტანიძეს და სოსო ჯაჭვლიანს გვთხოვდნენ. ხელისუფლებას კი ლამის განმარტებასაც არ სთხოვდნენ. ასე არ შეიძლება, ხალხი შენიანებად და იმისიანებად არ უნდა დაყო. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტპატიმრებზეც. რა შუაშია რომელი პარტიის მომხრეა ის. პატიმარს ყოველთვის სჭირდება სოლიდარობა.

***– რის გაკეთებას აპირებთ მომავალში?***

– რასაც აქამდე ვაკეთებდით, იგივეს გავაკეთებთ. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს მოსახლეობას თვალები აეხილოს. გვინდა, ყველამ გაიგოს, რომ ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არ შეიძლება. სანთლის დანთების უფლებას არ გვაძლევენ და თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლებას მოგვცემენ? ამიტომ ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ.

***– ბრძოლის რა ხერხი იქნება გამოყენებული?***

– კანონისთვის არასოდეს გადაგვიხვევია. ახლაც კანონიერი მეთოდებით გავაგრძელებთ ბრძოლას. მივმართავთ სასამართლოს, საერთაშორისო თანამეგობრობას. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ ოკუპანტებისგან გავთავისუფლდეთ. საქართველოს ხელისუფლება, ისევე როგორც რუსეთი არის ოკუპანტი. რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. ესენი კიდევ ჩვენი სულების ოკუპაციას ლამობენ. ეს უნდა დამთავრდეს. ჩვენ მიმდინარე წლის 12 მარტს საგანგებო განცხადება გავაკეთეთ, რომელზეც ჯერჯერობით არავინ გამოგვხმაურებია.

***– რომელ განცხადებაზე საუბრობთ?***

– ჩვენ ოპოზიციას ერთიანი ფრონტის შექმნა შევთავაზეთ. ამაზე უკეთესი ჩვენ ვერაფერი მოვიფიქრეთ.

***– გგონიათ, რომ ასეთი ფრონტის შექმნა გაამართლებს?***

– სხვა გამოსავალი არ არის, ამ ხელისუფლებას ერთიანი ძალებით უნდა დავუპირისპირდეთ. ერთმანეთთან დაპირისპირებას კი ოპოზიციამ თავი უნდა დაანებოს. გავერთიანდეთ, მოვაშოროთ ეს ოკუპანტები ქვეყანას და შემდეგ გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია. ისე ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ სახალხო კრება არ არის საარჩევნო სუბიექტი.

***– სახალხო კრების წარმომადგენლები არჩევნებში არ მიიღებთ მონაწილეობას?***

– სახალხო კრებაში პოლიტიკოსებიც არიან. ისინი ალბათ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. საზოგადოებრივი ნაწილი კი არ მიიღებს.

***– თქვენ თუ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?***

– პირადად მე არ მინდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მე არჩევნებზე ვიქნები ამომრჩეველი. ჩატარდეს არჩევნები და იქ გავარკვიოთ ვინ მოსწონს მოსახლეობას. ვისაც მოსახლეობა აირჩევს, იმან მართოს ქვეყანა. თუ ახალი ხელისუფლებაც ასევე მოიქცევა, სახალხო კრება ისევ ოპოზიციაში იქნება.

***– როდემდე აპირებს სახალხო კრება ოპოზიციაში დარჩენას?***

– სანამ საქართველოს მოსახლეობა, ქართული ცნობიერება, ქვეყნის ტერიტორია არ იქნება დაცული, სახალხო კრება არ გაჩერდება. ჩვენ ბევრს არაფერს ვითხოვთ, ჩვენ გვინდა: თავისუფალი სასამართლო, თავისუფალი მედია, თავისუფალი ბიზნესი, პოლიციის დეპოლიტიზაცია, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და არჩევნის თავისუფლება. ბუნებრივია, პირველ რიგში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გვსურს. სანამ ქვეყანაზე მზრუნველი ხელისუფლება არ გვეყოლება, სახალხო კრება და პირადად მე ყოველთვის ვიქნებით ოპოზიციაში. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში – ბატონი ბიძინა, ნინო, გუბაზი თუ ჯონდი. ყველას შემოევლოს ჩემი თავი. ეს ქვეყანა მე ყველას მირჩევნია. ჩემი ქვეყანა შვილზე მეტადაც კი მიყვარს. იმიტომ, რომ ისიც ამ ქვეყნის მოქალაქეა. არ მინდა ჩემი შვილი უბედურებაში საცხოვრებლად გავწირო.

# ნუგზარ წიკლაური: ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური სიცოცხლე ნამდვილად საფრთხეშია

## „ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა ხელისუფლებიდან მოდიოდა“

თეა მარხვაიძე

ცოტა ხნის წინ ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ „ქართული ოცნების“ წევრები მასთან შესახვედრად გაემგზავრნენ. საოცნებო დელეგაციაში სოზარ სუბარი და არჩილ კბილაშვილი შედიოდნენ.

– ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა ხელისუფლებიდან მოდიოდა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა სოზარ სუბარმა განუცხადა, რომელიც შვეიცარიაში ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს შეხვდა.

სოზარ სუბარის თქმით, კომახიძის ინფორმაციით, შუამავალი, რომელიც ჟურნალისტს შეხვდა და ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა გააცნო, ხელისუფლების წარმომადგენელმა გააგზავნა. სუბარის თქმით, კომახიძე შუამავალსაც და მის გამგზავნსაც კარგად იცნობს, რადგან რამდენიმე წლის წინ კომახიძე შსს-ს ორგანოებში მუშაობდა, შემდეგ კი ჟურნალისტი იყო.

– მთავარი მიზეზი, რატომაც გაამჟღავნა მთავარმა წყარომ ეს ინფორმაცია, ისაა, რომ ამ ადამიანს, რომელმაც უშუალოდ მიიღო დავალება, ერთგვარი საფრთხე შეექმნა, უფრო ზუსტად, მან იგრძნო საფრთხე, რომ თუ მონაწილეობას მიიღებს ტერაქტის, მკვლელობის განხორციელებაში, ადრე თუ გვიან მოუწევს წარდგომა სასამართლოს წინაშე. როგორც ვახო ამბობს, ინფორმაციის მიწოდების მიზანი იმ ადამიანის მხრიდან, რომელმაც შუამავალი გააგზავნა, დანაშაულის პრევენცია და ის იყო, რომ არ მიეღო დანაშაულში მონაწილეობა და გადარჩენილიყო სამომავლო პასუხისმგებლობისგან, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის სქემა და ადგილი ბოლომდე გაშიფრული არ ყოფილა, რადგან ეს, შესაძლოა, სახიფათო იყოს წყაროსთვის ან გეგმა არც იყოს ჯერ ბოლომდე შემუშავებული. სუბარის განცხადებით, კომახიძეს წყარომ აცნობა, რომ ივანიშვილზე თავდასხმა მისი რომელიმე რეგიონში ყოფნისას იგეგმებოდა.

– გეგმის მიხედვით, მომზადებული იყო 2 ადამიანი. ივანიშვილზე თავდასხმისას თუ ერთის ლიკვიდაცია მოხდებოდა, მეორეს უნდა განეცხადებინა, რომ ისიც მონაწილეობდა ლიკვიდაციაში და თავის თავზე აეღო დანაშაული. აუცილებლად უნდა ყოფილიყო დამნაშავე, რომელიც წარდგება სასამართლოს წინაშე. შესაძლოა, ეს ადამიანი გამოჭერილია რომელიმე დანაშაულში, ასევე, ზოგიერთ ადამიანს ფსიქიკური პრობლემები აქვს, რაღაც იდეით არიან შეპყრობილი. ასეთ ადამიანებზე მუშაობა და მათი დაჯერება, რომ ისინი თითქოს იდეისთვის იბრძვიან, ადვილია. სინამდვილეში ისინი ვიღაცის დაკვეთას ასრულებენ. ეს გეგმა პირდაპირ მოდის ხელისუფლებისგან. ადამიანი, რომელმაც შუამავალი ვახტანგ კომახიძესთან გაგზავნა, ხელისუფლების წარმომადგენელია, – განაცხადა სუბარმა.


ნუგზარ წიკლაური

მისი განმარტებით, ხელისუფლების ზემოხსენებულ წარმომადგენელს ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმების შესახებ ინფორმაცია საქართველოში მყოფი რომელიმე პირისთვის რომ მიეწოდებინა, წყაროს უსაფრთხოება დაცული არ იქნებოდა. კერძოდ, ამ პირს დაიბარებდნენ დაკითხვაზე და, კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებული იქნებოდა, ყველაფერი მოეყოლა. კომახიძე კი საზღვარგარეთ არის და მას დაკითხვაზე ვერ დაიბარებენ.

სოზარ სუბარის ამ განცხადებას ნაციონალებიც გამოეხმაურნენ. მათი მტკიცებით, ხელისუფლებას მსგავსი რამე გულშიც კი არ გაუვლია.

კობა ხაბაზი არ გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია რუსეთის მიერ შეგნებულად შემოგდებული „უტკაა“.

როგორც კობა ხაბაზმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ვახტანგ კომახიძისა და სოზარ სუბარის ფანტაზიების შესახებ საუბარი და დასკვნების გაკეთება რთულია, რადგან ორივე მათგანი, ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, სიცრუითა და სიყალბის შეთხზვით არის დაკავებული.

მისი თქმით, არავინ არავის ლიკვიდაციას არ გეგმავს და ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ მისი წარმატებებისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი ბიძინა ივანიშვილი ვერ იქნება.

– უფრო მეტსაც გეტყვით, ვშიშობთ, რუსეთის სპეცსამსახურებმა ისეთი ნაბიჯი არ გადადგან, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას დაბრალდება და თავის მართლება მოგვიხდება, – ამბობს ხაბაზი.

უფრო რადიკალური იყო თავის შეფასებაში ნუგზარ წიკლაური, რომელიც ამტკიცებს, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

– ბიძინა ივანიშვილს ფიზიკური – არა, მაგრამ მის პოლიტიკურ სიცოცხლეს საფრთხე მართლაც ემუქრება და ამაში თავადვეა დამნაშავე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნუგზარ წიკლაურმა.

ცნობილმა ბიძინოლოგმა ივანიშვილის მკვლელობის გეგმებთან დაკავშირებით საუბარი არ ისურვა. მან არც სუბარის ჩამოტანილი ინფორმაცია ჩააგდო რამედ, ისე კი, სუბარსა და ვახტანგ კომახიძეს სამედიცინო დანიშნულება მისცა.

– მათ შემთხვევაში რეზინისჩაქუჩიანი ექიმია საჭირო. პოლიტიკური კომენტარის ნაცვლად საჭიროა ექიმი როგორც სოზარ სუბარისთვის, ასევე ვახტანგ კომახიძისა და იმ ადამიანისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ ივანიშვილის სიცოცხლეს რამე ემუქრება, – ამბობს წიკლაური.

ის ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ყველა მოქალაქეს იცავს.

# აკაკი მინაშვილი: ბალათურიას მხოლოდ ფული აინტერესებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბალათურიამ გააპროტესტა. მისი თქმით, გაერთიანებული ოპოზიციიდან უფასო საეთერო რეკლამის გარეშე მხოლოდ „ქართული დასი“ და ეროვნული ფორუმი რჩებიან.

ჯონდი ბალათურიამ თავისი ალტერნატიული წინადადება გუშინ წარმოადგინა, რასაც ნაციონალები დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. მათ შორის უკვე ტრადიციადქცეული დებატები გაიმართა. თუ სხდომაზე ნაციონალები და ბალათურია ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ, ჩათვალეთ, რომ იმ სხდომამ არ გაამართლა.

უმრავლესობამ ბალათურიას ინიციატივას მხარს არ დაუჭირა. ბალათურია დარწმუნებულია, რომ ეს დაკვეთა ნაციონალებმა სააკაშვილისგან მიიღეს. დეპუტატს ეჭვი არ ეპარება, რომ პრეზიდენტს მასზე შურისძიება სურს.

– პრეზიდენტი სამარცხვინოდ იქცევა და მის უმრავლესობას „ქართული დასის“ წინააღმდეგ მოქმედებას ავალებს. მოგმართავთ უმრავლესობას, მძიმე მდგომარეობაში არ ჩაიყენოთ თავი და წესიერად მოიქცეთ. ნუ იქნებით პრეზიდენტისგან ბორკილდადებული, – ომახიანად მიმართა უმრავლესობას ბალათურიამ.

განსაკუთრებული აქცენტი დეპუტატმა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილზე გააკეთა და მას საკმაოდ უსიამოვნო მომავალი უწინასწარმეტყველა.

– ბატონო პავლე, რეიტინგი არასდროს გქონიათ, მაგრამ კვალიფიციური იურისტის იმიჯი გქონდათ. არ მინდა, კარიკატურულ პიროვნებად გადაიქცეთ. თუ კუბლაშვილი ასე გააგრძელებს, ამის გარანტიას ნამდვილად ვაძლევ, ეს კი ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, – აღნიშნა ბალათურიამ.

ალბათ, ხვდებით, რომ უმრავლესობა ბალათურიას უხურდოდ არ დატოვებდა. ამ მიმართულებით თავი რამდენიმე ნაციონალმა გამოიდო. სეფესიტყვა კი აკაკი მინაშვილმა თქვა, რომელიც, სხვათა შორის, ბალათურიას კრიტიკის ობიექტი ხშირად გამხდარა.

აკაკი მინაშვილმა ოპოზიციონერი კოლეგა ფულის სიყვარულში დაადანაშაულა. ნაციონალის მტკიცებით, ბალათურიამ თვალი ივანიშვილის მილიონებს დაადგა და ვეღარ ისვენებს.

– ჯონდი ბალათურია ცდილობს, როგორმე იმ რელსზე დაჯდეს, რომელიც ივანიშვილმა ააგო. ის კი სხვადასხვა ტიპის ადამიანების კოლექციას აგროვებს, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა, რომელმაც ბალათურიას ქვეყანაში არსებული პრობლემები შეახსენა და გაოგნებული დარჩა, რომ ასეთ ვითარებაში ბალათურია სათავისოდ ითხოვს ფულს.

– მაშინ, როდესაც ქვეყანაში ჯანდაცვისა და სხვა პრობლემებია, ფულზე, ფულზე და კვლავ ფულზე წუხილი ძალიან ცუდია. არავითარი განცდა იმისა, რომ მას რეფორმებში მონაწილეობის სურვილი აქვს, არ არსებობს. ის ზრუნავს ფულზე, ფინანსურ გაუმჭვირვალობაზე და ა.შ. ბალათურიას უნდა ფული, ფული, ფული, ყველა საშუალებითა და მეთოდით, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა, რომელმაც ოპონენტისთვის არც პოლიტიკური წყევლა დაინანა.

– დარწმუნებული ვარ, რომ ჯონდი ბალათურიას შემდეგ არჩევნებში მხარს არავინ დაუჭერს და ვერც პარლამენტში ვერ მოხვდება, – მიაწყევლა ბალათურია მინაშვილმა.

როგორც ამბობენ, წყევლა მაწყევარს უბრუნდება. ეს თურმე პოლიტიკურ წყევლაზეც ვრცელდება და, არ არის გამორიცხული, თავად მინაშვილი დარჩეს პარლამენტს მიღმა.

# გიორგი ტუღუში: პატიმრებს ფსიქოტროპულ პრეპარატებს ურიგებენ“

შალვა ჯოხაძე

გუშინ სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. დეპუტატების წინაშე ტუღუშმა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სახელმწიფოში არსებული ზოგადი ტენდენციები მიმოიხილა და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება. ტუღუშის გამოსვლა მის ყოველწლიურ ანგარიშზე იყო აგებული. ამ ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა.

— პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული რეგულარული მონიტორინგის, შესწავლილი საქმეებისა და განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებულ პირთა უფლებების ჯეროვანი დაცვა კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. სამწუხაროდ, კვლავ დაფიქსირდა სისტემაში გარდაცვლილ პატიმართა მაღალი მაჩვენებელი, რომელიც, ფაქტობრივად, არ განსხვავდება 2010 წლის მაჩვენებლისგან. შესაბამისი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტუბერკულოზი კვლავ რჩება პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, — აცხადებს სახალხო დამცველი.

აღსანიშნავია, რომ ომბუდსმენის ანგარიშში საპატიმროებში არსებული სიტუაციის მიმოხილვას ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა. ბუნებრივია, გიორგი ტუღუშს მრავალი პრეტენზია აქვს. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ტრიბუნიდან სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოტროპული პრეპარატების უკონტროლო ბრუნვაზეც ისაუბრა. საპატიმროებში ნარკოტიკების ბრუნვის შესახებ კითხვით სახალხო დამცველს უმრავლესობის წევრმა კობა ხაბაზმა მიმართა. ხაბაზი დაინტერესდა, ხდება თუ არა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა საპატიმროებში. სახალხო დამცველის განცხადებით, ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრობლემა მოგვარებულია, თუმცა, არსებობს მეორე პრობლემა, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებაში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებისთვის ექიმის მეთვალყურეობის გარეშე ფსიქოტროპული პრეპარატების დარიგებას უკავშირდება. როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა, მან არაერთხელ მიიღო განცხადება პატიმრებისგან, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ მათ ამ პრეპარატების მიწოდება შეუზღუდა და ამან მათ სერიოზული პრობლემები შეუქმნა...

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის დადებასაც და ტუღუშის გუშინდელ გამოსვლასაც პარლამენტში სიტყვაძუნწობით გამორჩეული ციხეთა მინისტრი ოპერატიულად გამოეხმაურა. მინისტრ ხათუნა კალმახელიძის თქმით, სახალხო დამცველის ანგარიში მისთვის საინტერესო და ყურადსაღებია. კალმახელიძის თქმით, ის გულდასმით გაეცნო ანგარიშს და დიალოგის რეჟიმში იმყოფება სახალხო დამცველთან.

— ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ სახალხო დამცველის ანგარიში ჩვენი სამინისტროსთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რადგან ბოლო წლების განმავლობაში რეფორმები მიმდინარეობს და ამ რეფორმების სწორად წარმართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინება, — აღნიშნა კალმახელიძემ.

სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ სახალხო დამცველთან კოორდინირებული მუშაობისა და სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი რეფორმების მიუხედავად, მიიჩნევენ, რომ სისტემაში გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ შემორჩენილია, რომელთა გადასაჭრელად გრძელდება ინტენსიური მუშაობა, მათ შორის სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის დაუყოვნებლივი შესრულების თვალსაზრისით.

— მისასალმებელია ასევე, რომ ხშირ შემთხვევაში სახალხო დამცველი თავადვე აღნიშნავს ძალიან მოკლე დროში პენიტენციურ სისტემაში გატარებულ წარმატებულ რეფორმებს, რამაც გაცილებით ლიბერალური მიდგომები დაამკვიდრა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ და რამაც მაქსიმალურად ეფექტიანი გახადა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და რეალიზაციის მექანიზმები. სამინისტრო თავადვე აცნობიერებს, რომ პენიტენციურ სისტემაში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და, მიმდინარე რეფორმების პარალელურად, მას შემდეგ, რაც დეტალურად იქნება შესწავლილი სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში და რეკომენდაციები, სამინისტრო მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, ისევე, როგორც ადრე, შეასრულებს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში არის დამატებითი მოტივაცია იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი გაკეთდეს პენიტენციურ სისტემაში და დაწყებული საქმე წარმატებით დასრულდეს, რათა საბოლოოდ დაინერგოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა საქართველოში, — განაცხადეს სასჯელაღსრულების სამინისტროში.



გიორგი ტუღუში

სახალხო დამცველის ანგარიშში სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიცაა მიმოხილული. ტუღუში აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას. საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სახალხო დამცველის 3 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელთგან 2 დაკმაყოფილდა, ხოლო ერთის დაკმაყოფილება არ მომხდარა.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შესული საჩივრებისა და განცხადებების ანალიზი და აპარატის თანამშრომლების მიერ განხორციელებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას კვლავ არაერთი პრობლემა გვხვდება. 2011 წლის განმავლობაში კვლავ მაღალი იყო მოქალაქეთა მიმართვიანობა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში სისტემატურადაა განხილული სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის ფაქტები. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომლებიც უკავშირდებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობასა და ძალის არაპროპორციულ გამოყენებას.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში ყოველ წელს გარკვეული ადგილი ეთმობა შეკრებებისა და მანიფესტაციების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას. 2011 წელი აქტიური იყო როგორც საკანონმდებლო, ისე შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია 2011 წლის განმავლობაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას დაფიქსირებულ დარღვევებზე, მიმოხილულია ჟურნალისტებისა და ცალკეული პირების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტები, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის, მუქარის, მათი დაკავებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. ამავე თავში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იმ საქმეების გამოძიების ხარისხის შეფასებას, რომლებიც ჟურნალისტურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

სახალხო დამცველის თქმით, საანგარიშო პერიოდში, რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტული გარემოს განვითარების კუთხით, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. 2011 წელს ასევე მკვეთრად შემცირდა რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ სახალხო დამცველისთვის განცხადებით არავის მიუმართავს.

ანგარიშში დეტალურად არის განხილული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ფართო სპექტრი: საკუთრების უფლება, სათანადო საცხოვრისის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებული ასპექტები და სხვა.

რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას, ეს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საანგარიშო პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა მომართვიანობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო. 2011 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა. წინამდებარე ანგარიშში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა — მესხებისა და ლტოლვილების უფლებრივ მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორ წინა წლებში, სახალხო დამცველი ინტენსიურად ადევნებდა თვალს საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარებას. გაანალიზებული პრაქტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, თუმცა, კვლავაც რჩება სერიოზული პრობლემები კანონით გათვალისწინებული ნორმების აღსრულებისას.

ანგარიშში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ პრობლემატიკას. საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს მიერ რიგი ღონისძიებების გატარებით, რაც, წინა წლებთან შედარებით, პოზიტიური ტენდენციაა.

— ტრადიციისამებრ, ანგარიშში წარმოდგენილია ჩვენი მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისადმი, რომელთა მიზანიც ამ ანგარიშში აღწერილი დარღვეული უფლებების აღდგენა და უფლებადარღვევების პრევენციაა, — აცხადებს ტუღუში.

# ახალგახსნილ საავადმყოფოებში შეიძლება ინფექცია აიკიდო

## ექიმების დაბალი ხელფასები და დერეფნებში გასინჯული პაციენტები

შალვა ჯოხაძე

**მიხეილ სააკაშვილი საავადმყოფოებს ხსნის და ხსნის, მაგრამ, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, რაოდენობა ხშირად არ ნიშნავს ხარისხს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი ხერარდ დე ბური ჭიათურაში ახლად გახსნილი საავადმყოფოს მოსანახულებლად იმყოფებოდა და იქ საკმაოდ სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. დე ბური ამ არასამთავრობო ორგანიზაციაში 2011 წლიდან პროექტის ანალიტიკოსად მუშაობს და ამ ექსპერტის საქმიანობის სფერო სწორედ ჯანდაცვის მიმართულების პროექტებია.**



ხერარდ დე ბური

— გასულ კვირას ჭიათურაში ახლად აშენებული საავადმყოფო მოვინახულეთ. ეს მრავალპროფილიანი საავადმყოფო, რომელიც ყველა სახის სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს პაციენტებს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2011 წლის დეკემბერში გახსნა. თანამედროვე აპარატურით აღჭურვილმა საავადმყოფომ, ერთი შეხედვით, დადებითი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ თანამშრომლებისა და ერთ-ერთი პაციენტისგან ვითარების შესახებ სულ სხვა თვალსაზრისი მოვისმინეთ. საწოლების ნაკლებობის გამო ავადმყოფს ან შესაბამის პირობებში ვერ მკურნალობენ, ან უკან აბრუნებენ. მკურნალობის ჩატარების აუცილებლობის გამო სანიტარიული ნორმების დაცვა არ ხდება. თანამშრომლები ზეგანაკვეთური დატვირთვისა და დაბალი ანაზღაურების პირობებში მუშაობენ. იმის გამო, რომ საავადმყოფოს მფლობელი კომპანია დაზღვევის არმქონე პირებისათვის მაღალ ფასებს აწესებს, ბევრ ადამიანს საჭირო მკურნალობის მიღება არ შეუძლია, — აცხადებს ხერარდ დე ბური.

დე ბური აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში საქართველოში საავადმყოფოების უმრავლესობის პრივატიზება მოხდა. ბევრი მათგანი სადაზღვევო კომპანიებმა შეიძინეს. ეროვნულ ტელეარხებზე ხშირად ეთმობა ყურადღება ჯანდაცვის ახალი პოლიტიკის გაშუქებასა და ახალი საავადმყოფოების გახსნისა და ფუნქციონირების საკითხებს. ახალი საავადმყოფოები მოძველებული ინფრასტრუქტურის მქონე ძველი სამედიცინო დაწესებულების ნაცვლად შენდება.

— ჭიათურის საავადმყოფო 25-საწოლიანია. მისი მფლობელი სადაზღვევო კომპანია „ირაოა“. საწოლების რაოდენობა ძალიან შემცირდა, რადგან მანამდე ჭიათურაში 205 პაციენტისათვის განკუთვნილი ორი პოლიკლინიკა და საბავშვო საავადმყოფო არსებობდა. შესაბამისად, როგორც ადგილობრივებმა აღნიშნეს, პაციენტებისათვის ადეკვატური მომსახურების გასაწევად საჭირო საწოლების რაოდენობა არ არის. მართალია, საავადმყოფოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ჭიათურაში დამატებით 15 საწოლს გახსნის, მაგრამ ყოფილმა და ამჟამინდელმა მედპერსონალმა სერიოზული ეჭვი გამოთქვა, რომ აღნიშნული რაოდენობა საწოლების ნაკლებობის თვალსაზრისით ვითარებას გააუმჯობესებს.

ჭიათურაში ბევრ ადამიანს გავესაუბრეთ, მათ შორის დაწესებულების მენეჯერს, რომელმაც გვითხრა, რომ საწოლების რაოდენობა საკმარისია, მაგრამ მედპერსონალმა განაცხადა, რომ ხშირია შემთხვევა, როცა პაციენტებს სახლში აგზავნიან, რადგან საავადმყოფოში მათთვის ადგილი არ არის. 80 წლის ქალბატონმა გვითხრა, რომ მას ამბულატორიული მკურნალობა ჩაუტარდა, რადგან საავადმყოფოში მისი ადგილი არ იყო, — აცხადებს ხერარდ დე ბური.

ყურადსაღებია ექსპერტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საწოლების ნაკლებობის გამო პაციენტებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესში ძირითადი სანიტარიული ნორმები ირღვევა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელთან საუბარში აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში სერიოზული ინფექციით დაავადებულ ორ ბიჭუნას მკურნალობა ჩაუტარდა საოპერაციოში, რადგან სხვაგან საწოლები არ ჰქონდათ. ამით საოპერაციოში მოთავსებული სხვა პაციენტების ინფიცირების რისკი გაიზარდა. მიმღებში არ არის სექციები სხვადასხვა ტიპის დაავადებისათვის. შესაბამისად, ინფიცირებული პაციენტი, შესაძლოა, ორსული ქალის გვერდით აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, თანამშრომლები დგებიან დილემის წინაშე — აირჩიონ, გასინჯონ პაციენტი დერეფანში, სასწრაფოს მანქანაში თუ დიაგნოსტიკის ოთახში, სადაც ინფექციების გავრცელების რისკი მაღალია.

— ის ფაქტი, რომ საავადმყოფოში მხოლოდ 25 საწოლი და 1 საოპერაციოა, კიდევ უფრო შემაშფოთებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიათურის მაღაროებში 4 000 ადამიანი მუშაობს. რამე სახის უბედური შემთხვევის დროს საავადმყოფო პაციენტების მომსახურებას ვერ გასწვდება. დაბალი ხელფასები ხშირად ქრთამის აღებისა და კორუფციის მიზეზი ხდება. გასათვალისწინებელია, რომ ექიმები საარსებო პირობების უზრუნველყოფისთვის იძულებულნი არ უნდა გახდნენ, ეთიკის ნორმები დაარღვიონ. ჭიათურის საავადმყოფოს მედპერსონალი აცხადებს, რომ მათ მწირი ანაზღაურება აქვთ. რამდენიმე ექიმმა აღნიშნა, რომ არა აქვს წერილობითი კონტრაქტი ან ფიქსირებული ყოველთვიური ანაზღაურება.

ხელმძღვანელობის თქმით, ქირურგმა შესაძლოა ოპერაციის ჩატარების შემდეგ 1,700 ლარამდე მიიღოს. ქირურგებმა აღნიშნეს, რომ მათი ხელფასი თვეში 160-დან 370 ლარამდეა. დაბალი ხელფასი ექიმებს მხოლოდ ჭიათურაში არა აქვთ. ბოლო პერიოდში ზუგდიდში სამსახურიდან გაათავისუფლეს ექიმი, რომელმაც ადგილობრივი საავადმყოფოს მფლობელის, კომპანია „ალდაგის“ მიერ გადახდილი დაბალი ხელფასი გააპროტესტა. კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტია, რომ მაშინ როცა ჭიათურის საავადმყოფო თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა, ექიმებმა გვითხრეს, რომ მათ ელემენტარული აღჭურვილობაც კი არ გააჩნიათ, — აცხადებს ხერარდ დე ბური.

დე ბური განმარტავს, რომ ადგილობრივი საავადმყოფოს მფლობელი „ირაო“ ასევე მოახდენს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სოციალურ დაზღვევას, რისთვისაც იგი სახსრებს საჯარო ფონდებიდან მიიღებს. „ირაოს“ შეუძლია, სოციალური დაზღვევიდან მოგება მიიღოს სამედიცინო მომსახურებაზე დაზღვეული ადამიანებისათვის დაბალი ფასებისა და სხვებისათვის მაღალი ფასების დაწესების გზით. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლებს უთხრეს, „ირაომ“ სწორედ ამგვარი ვითარება შექმნა. მაგალითად, „ირაოს“ საავადმყოფოში სისხლის საერთო ანალიზი დაზღვეული პაციენტისათვის 6 ლარი ღირს, დაზღვევის არმქონე ადამიანისთვის კი — 12 ლარი. ექიმმა გვითხრა, რომ დაზღვევის არმქონე ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ მკურნალობის მიღებას „ირაოს“ მიერ დაწესებული მაღალი ფასების გამო.

დე ბური ასკვნის, რომ, მართალია, ახალი პოლიტიკა თანამედროვედ აღჭურვილი საავადმყოფოების აშენების საშუალებას იძლევა, მაგრამ იგი, ამავე დროს, სერიოზულ პრობლემებს ქმნის მისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის კუთხით.

— ის ფაქტი, რომ სადაზღვევო კომპანიები ერთსა და იმავე რეგიონში ფლობენ საავადმყოფოებს, ახდენენ მოსახლეობის სოციალურ დაზღვევას და ცდილობენ, ამავე დროს, მაქსიმალური მოგება მიიღონ, არასაიმედო სიტუაციას ქმნის. სხვა რეგიონის მცხოვრებლებისაგან მოსმენილი მსგავსი ისტორიები გვაფიქრებინებს, რომ ჭიათურა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის, — ამბობს დე ბური.

# ირაკლი სესიაშვილი: თუ ჩვენ ნატოში ინტეგრაცია გვინდა, ასე მარტივად ყველას იარაღს ვერ მივყიდით

უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტ ირაკლი სესიაშვილს დღეს ქართული წარმოების იარაღის ექსპორტირების პერსპექტივაზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია.

როგორც სესიაშვილმა „მედიანიუსს“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიტყვების კომენტირებისას განუცხადა, მსოფლიო ბაზარზე იარაღის გაყიდვის თვალსაზრისით გარკვეული ადგილის დაკავება შესაძლებელია, თუმცა ყველაფერი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული.


ირაკლი სესიაშვილი

„ჯერ დასკვნების გამოტანა ნაადრევია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით, ამ ეტაპზე რა ტექნიკური მახასიათებლები აქვს ამ ტექნიკას და შემდეგ პრაქტიკაში მათი გამოყენება რამდენად ეფექტიანი იქნება. ამის განსაზღვრას წლები სჭირდება. დასავლეთში, როდესაც კონკრეტული შეიარაღების შემუშავება ხდება, მათი გამოცდა წლების განმავლობაში მიმდინარეობს და მხოლოდ ამის შემდეგ ხორციელდება ამ თუ იმ სამხედრო საშუალების შეიარაღებაში შეტანა. მეორე საკითხია, თუ რა ხარისხის ტექნიკური საშუალებებია – ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პერსპექტივას, რომ შეიძლება საქართველო ექსპორტიორი გახდეს, ესეც დამოკიდებულია წარმადობაზე, პროდუქციის ხარისხზე და ფასზე. ზოგადად, მსოფლიოში ამ მხრივ ბაზარზე გარკვეული ადგილის მოპოვება შესაძლებელია, მაგრამ გავიმეორებ, ეს დამოკიდებულია ფასზე, წარმადობასა და ხარისხზე – ამ სამი კომპონენტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკვე შეგვეძლება ვიფიქროთ, რომელი სახელმწიფოები შეიძლება გახდნენ ჩვენ მიერ წარმოებული იარაღის პოტენციური მყიდველები“, – განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, ნაკლებადსავარაუდოა, რომ ქართული წარმოების იარაღის ყიდვის სურვილი ნატოს წევრ ქვეყნებს გაუჩნდეთ.

„მათ თავისი იარაღი აქვთ, რომლის ტექნიკური მონაცემები საკმაოდ მაღალია. მესამე რანგის ქვეყნები შეიძლება ქართული წარმოების იარაღით დაინტერესდნენ, მაგრამ მეორე მხრივ, აქ ჩნდება პოლიტიკური საკითხი. როგორც ვიცით, ნატოს წევრები იარაღს ისეთ ქვეყნებში, სადაც გარკვეულ სამოქალაქო, ან სხვა ტიპის კონფლიქტური სიტუაციები არსებობს, არ ყიდიან. ეს ნატოს ერთგვარი პოლიტიკური სტანდარტია და ამიტომ თუ ჩვენ ნატოში ინტეგრაცია გვინდა, ასე მარტივად ყველას იარაღს ვერ მივყიდით. შეიძლება არაბულმა ან აფრიკულმა ქვეყნებმა ასეთი იარაღის შეძენის სურვილი გამოთქვან, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთ მათგანში უკონტროლო კონფლიქტები არსებობს, ცხადია, ჩვენ გარკვეულწილად, ნატოს შეზღუდულ რეგულაციაში მოვექცევით და იარაღს ასე მარტივად ვერ გავყიდით. მთავარი მაინც ის არის, რომ თუ ეს იარაღი ხარისხიანია, ისიც კარგი იქნება თუ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს დაეხმარება. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება, რადგან სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული არ ვიქნებით“, – განაცხადა სესიაშვილმა.

ექსპერტის თქმით, პრეზიდენტისაგან განსხვავებით იგი არ ფლობს ინფორმაციას, რომ უცხოეთში მაგალითად, ისრაელში ქართველი სპეციალისტები სამხედრო ტექნოლოგიებზე მუშაობენ.

„მე არ ვიცი, არიან თუ არა უცხოეთში ქართველი სპციალისტები. თუ არიან, მათი აქ ჩამოყვანით დაინტერესება თეორიულად რთულად შესასრულებელია. ყველას კარგად მოეხსენება, რომ იარაღის წარმოება უსაფრხოების საკითხებთან არის დაკავშირებული და მათ ასე მარტივად კონტრაქტების დარღვევა გაუჭირდებათ, თუმცა თეორიულად ეს ყველაფერი შესაძლებელია“, – განაცხადა სესიაშვილმა და დასძინა, სამხედრო სფეროში მთავარი მაინც ის არის, თუ რა ტიპის არმიის შექმნა სურს საქართველოს.

„რაში ვიყენებთ ამ იარაღს და რა სამხედრო საფრთხეების ნეიტრალიზაციისთვის გვჭირდება ესა თუ ის ტექნიკური საშუალება.. გუშინ პრეზიდენტი საუბრობდა, რომ ყუმბარმტყორცნები რეზერვისტებს დაურიგეთ და ასწავლეთ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ თავიანთი უბნებიდან, სოფლებიდან და ასე შემდეგო... არასერიოზულია... წარმოიდგინეთ, თბილისელს რომ ყუმბარმტყორცნით სროლა ასწავლო და უთხრა, ახლა დაეუფლე იმ ცოდნას, რასაც უბანში ყუმბარმტყორცნის გამოყენება ჰქვიაო.. არასერიოზული განცხადებაა. არ შეიძლება მთელი მოსახლეობის ამ სფეროში ჩართვა და იმის თქმა, რომ რახან ჩვენ იარაღს ვქმნით, ეს იარაღი ყველა რეზერვისტს უნდა დავურიგოთ. ეს არის რესურსის უაზრო ხარჯვა და არაეფექტიანი გამოყენება. პირველი, რაც ამ ქვეყანას სამხედრო თვალსაზრისით გადასაწყვეტი აქვს, ეს არის სწორი თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის შექმნა. სწორად განსაზღვრა იმისა, თუ რა ტიპის შეიარაღებული ძალები სჭირდება ქვეყანას. კონტექსტიდან ამოვარდნილად, მხოლოდ რამდენიმე კომპონენტზე მუშაობა ისედაც არეულ-დარეულ დაცვის სისტემას კიდევ უფრო ქაოსურს გახდის“, – განაცხადა მან.

ცნობისთვის: პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში სხვადასხვა სახის იარაღის წარმოებასა და მის ექსპორტზე გუშინწინ ქართული წარმოების უპილოტო საფრენი აპარატის პრეზენტაციასა და თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საწარმო „დელტაში“ სტუმრობისას ისაუბრა.

**მედიანიუსი**

# როგორ ავაშენოთ ლაზიკა? – მთავრობა საგონებელშია

ნათია ხურცილავა

**მთავრობის სხდომაზე, რომელიც გუშინ ჩატარდა, 68 საკითხი იქნა განხილული. მინისტრები ხანგრძლივად განიხილავდნენ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებს. ასეთ საკითხთა ნუსხაში რამდენად მოხვდება საკალათბურთო კლუბ „ოლიმპისთვის“ ავტომანქანის თხოვების საკითხის განხილვა, რთული წარმოსადგენია, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც ქალაქ ლაზიკას დაარსებაა, განხილულ იქნა. მართალია პრეზიდენტის ინიციატივა ქალაქის დაარსებასთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე არ განუხილავთ, მაგრამ ეს კითხვა ჟურნალისტების მიერ იქნა დასმული.**

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე ლაზიკას მშენებლობისას ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნას გამორიცხავს. როგორც მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მშენებლობის დაწყებამდე შესაბამისი ტექნიკით მოხდება ჭაობის დაშრობა, რადგან კოლხეთის დაბლობი ტრადიციულად ჭაობიანია.

– თუ ყველაფერი გონივრულად იქნება გათვლილი და რასაკვირველია, ასეც იქნება ამ შემთხვევაში ეკოლოგიას არავითარი ზიანი არ მიადგება. ერთის მხრივ, მიდის პროცესი, როდესაც გარემოს დაცვითი კანონმდებლობა უფრო რეალობასთან შესაბამისი ხდება. ურბანული განვითარება, გვინდა თუ არა გვინდა, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ რაღაც იცვლება და ბუნებას ვეხებით. ჩვენი ანთროპოლოგიური გავლენა არსებობს და ამას ვერ უარვყოფთ. რაღაცის მშენებლობა, ნებისმიერი გზისა თუ სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა კონკრეტულ გარემოს ზიანს აყენებს. ბუნებას ჩვენი არსებობაც აყენებს ზიანს, მაგრამ ეს არ არის არგუმენტი რაღაცის წინააღმდეგ. ბუნებრივია, მშენებლობა იწვევს ცვლილებას, ლაზიკა ჰაერში არ აშენდება. თუმცა, იურიდიული ნაწილიც, საერთაშორისო ნაწილიც, ტექნიკური ნაწილიც, თუ ეს ყველაფერი გონივრულად, სწორად იქნება გათვლილი, მე ვერ ვხედავ მიზეზს მნიშვნელოვანი ზიანისა, რომელიც შეიძლება ეკოლოგიას მიადგეს, – განაცხადად გოგა ხაჩიძემ.

როგორც ხაჩიძემ აღნიშნა, ურბანიზაციის პროცესი ზოგადად იწვევს ეკოლოგიის ცვლილებებს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქალაქები არ უნდა აშენდეს. რაც შეეხება ლაზიკაში შენობების მდგრადობას, მინისტრის განცხადებით, ჭაობის ამოშრობის შემდეგ მოხდება ნიადაგის შესწავლა და ამის შემდეგ განისაზღვრება, თუ რა სიღრმეზე უნდა გაიჭრას შენობების საძირკველი.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გაკეთდა, სახალხო დამცველის წლიური ანგარიშია.

ხათუნა კალმახელიძე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარებათა მინისტრი სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის წლიურ ანგარიშს გამოეხმაურა. მისი განცხადებით რეფორმები მიმდინარეობს და მისი გარკვეული ნაწილი ტუღუშის მიერ დადებითად არის შეფასებული.

– სახალხო დამცველის ანგარიში ჩვენი სამინისტროსთვის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ბოლო წლების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს, ამ რეფორმების წარმართვის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი არის სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინება. სახალხო დამცველი თავად აღნიშნავს, რომ არაერთი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული. საკმაოდ დადებითად აფასებს გარკვეულ რეფორმებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს სამინისტროს მიაჩნია, რომ გარკვეული პრობლემები, რაზეც აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ. სწორედ მისთვის არსებობს ის რეფორმები, რომელიც დაწყებულია. რეფორმები უნდა გაგრძელდეს და ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიდეს, რაც არის ევროპული სტანდარტების სრულყოფილად დანერგვა პენიტენციალურ სისტემაში. რაც შეეხება რეკომენდაციებს წელსაც გავითვალისწინებთ, სახალხო დამცველის ანგარიში ძალიან გულდასმით წავიკითხეთ. ჩვენი სამინისტრო სახალხო დამცველთან დიალოგის რეჟიმში იმყოფება, – განაცხადა ხათუნა კალმახელიძემ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მთავრობის სხდომაზე იქნა განხილული ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებს ეხება.


გოგა ხაჩიძე

ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მთავრობის სხდომაზე მინისტრებს სადაზღვევო კომპანიებთან, საავადმყოფოსა და პაციენტებს შორის ურთიერთობების დარეგულირების წესები გააცნო.

– კონკურსი გამოვაცხადეთ, რომ თანამშრომლები ავიყვანოთ მედიაციის სამსახურში. მედიაციის სამსახურში ყველა კვალიფიციურ თანამშრომელს შევინარჩუნებთ, მაგრამ ვაძლიერებთ მედიაციის სამსახურს, რადგან სახელმწიფოს მიერ დაზღვეულთა რაოდენობა იზრდება, პარალელურად შეიძლება გაიზარდოს იმ ადამიანთა რაოდენობაც, რომელთაც გარკვეული პრეტენზიები ექნებათ ან სადაზღვევო კომპანიებთან ან საავადმყოფოებთან. ზოგ შემთხვევაში საავადმყოფოებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორისაც არის დავა. ასეთი დავების მოგვარების ფუნქცია მედიაციის სამსახურს ექნება თუ მიმართავენ. მედიაციის სამსახურის ფუნქცია იქნება დაარეგულიროს ურთიერთობა პაციენტსა და საავადმყოფოს, სადაზღვევო კომპანიას და საავადმყოფოს შორის. ეს არეგულირებს იმ სფეროს, სადაც მხოლოდ სახელმწიფოს ფული იხარჯება. ეს ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაზღვეულებს. ასევე ეს ეხება ფარმაცევტულ კომპანიებსაც. ჩვენი დოკუმენტის მთავარი ამოცანაა საავადმყოფოებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა მოწესრიგდეს, რომ ფინანსური პრობლემები არ წარმოიშვას, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით საავადმყოფოებმა მკურნალობის სტანდარტი უნდა დანერგონ.

– ე.წ. გაიდლაინები და პროტოკოლები უნდა დაინერგოს საავადმყოფოებში. პროტოკოლი საავადმყოფოში დანერგვა ყველა მხარისთვის არის მომგებიანი. პირველ რიგში მომგებიანია პაციენტებისთვის, რადგან თუ პაციენტმა იცის, მას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით მკურნალობენ, ის დარწმუნებულია, რომ მისთვის კეთდება ყველაფერი. ეს ძალიან კარგია ექიმებისთვისაც, რადგან პაციენტის პრეტენზიის შემთხვევაში გვაქვს საშუალება, რომ შევამოწმოთ, რამდენად შეესაბამება ის მკურნალობა, რაც ექიმმა ჩაატარა პროტოკოლს, როდესაც ექიმებს ვხვდები, მათ ვეუბნები, რომ პროტოკოლი მათი თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა, რომ არ იყოს უსაფუძვლო ბრალდება მათ მიმართ, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განმარტა, საუბარია კონკრეტულ რეგულაციაზე, რომელიც სადაზღვევო კომპანიებს, საავადმყოფოებსა და პაციენტებს შორის ურთიერთობების დარეგულირებას ითვალისწინებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის კონტრაქტი არის გაფორმებული სადაზღვევო კომპანიებსა და კლინიკებს შორის, რაც დისკომფორტს უქმნის პაციენტს.

გილაურის განცხადებით, მთავრობას სურს, შემოიღოს ახალი დოკუმენტი, ახალი რეგულაცია, რომელიც იქნება ამ ურთიერთობების განსაზღვრული.

– ძალიან კონკრეტულად განსაზღვრავს ეს დოკუმენტი, თუ რა ვალდებულება აქვს კლინიკებს, ექიმებსა და როგორ უნდა იყოს პაციენტის უფლებები დაცული, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ უცხოელ პარტნიორ ბანკებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ლონდონის ბირჟაზე შესაძლოა, მსხვილი სახელმწიფო კომპანიების მინორიტარული პაკეტები გაიყიდოს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, საკითხი გასულ წელს დადგა დღის წესრიგში, თუმცა საფინანსო ბაზრები საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იყვნენ და ახლა შედარებით გამოსწორდა ვითარება. გილაურის განცხადებით, მიმდინარეობს კონსულტაციები პარტნიორ ბანკებთან, რათა კიდევ ერთხელ იყოს განხილული ლონდონის ბირჟაზე მსხვილი სახელმწიფო კომპანიების მინორიტარული პაკეტების განთავსების შესაძლებლობა. პრემიერის თქმით, ეს კომპანიებია საქართველოს რკინიგზა, გაზის კორპორაცია და სხვა მსხვილი კორპორაციები. მან ხაზი გაუსვა, რომ საუბარია მხოლოდ მინორიტარული პაკეტების გაყიდვაზე და არც ერთ შემთხვევაში ამ კომპანიების მენეჯმენტი სხვის მფლობელობაში არ გადაეცემა.

## ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების“ აპარატის უფროსმა თანამდებობა დატოვა

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან– დემოკრატების“ აპარატის უფროსმა დავით ლორთქიფანიძემ თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ თავად ლორთქიფანიძემ დაუდასტურა. მისი განმარტებით, ფრაქციიდან წასვლის შესახებ განცხადება გუშინ დაწერა. ლორთქიფანიძე გადაწყვეტილების მიზეზებზე ჯერ არ საუბრობს. როგორც მან აღნიშნა, „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ წასვლის შესახებ დეტალურად პრესკონფერენციაზე ისაუბრებს, რომლის ჩატარებასაც აღდგომის შემდეგ გეგმავს. ამასთან, დავით ლორთქიფანიძე პოლიტიკური საქმიანობის მიტოვებას არ აპირებს და თავის საქმეს აქტიურად გააგრძელებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ომბუდსმენი 26 მაისის აქციის დაშლის გამოძიებით უკმაყოფილოა

სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, გასული წლის 26 მაისის აქციის დაშლისას დაზარალებული ჟურნალისტების საქმეზე სამართლებრივი რეაგირებით უკმაყოფილოა.

პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე მიმდინარე სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენისას, 26 მაისს დაზარალებული ჟურნალისტების საქმეზე რეაგირებით, „ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე დაინტერესდა.

სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის განცხადებით კი, ჟურნალისტების საქმეზე მისმა აპარატმა ცალკე მიმართა მთავარ პროკურატურას და გამოძიება სისხლის სამართლის ხაზით მოითხოვა. მისი თქმით, პროკურატურისგან მიიღო პასუხი იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა.

„როგორც ჩანს პროკურატურამ არ ჩათვალა საჭიროდ გამოძიება, რაც მე შევაფასე არაადეკვატურ რეაგირებად“, – განაცხადა ტუღუშმა. მისივე თქმით, დღემდე თვლის, რომ პროკურატურას ამ საქმეზე რეაგირება, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოეხდინა.

**ინტერპრესნიუსი**

## რატომ არ მოხვდა ნორა კვიციანის საქმე ომბუდსმენის ანგარიშში

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია სახალხო დამცველ გიორგი ტუღიშს იმის გამო საყვედურობს, რომ მის 2011 წლის ანგარიშში ნორა კვიციანზე

არაფერია ნათქვამი. მან ეს განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშის მოსმენისას განაცხადა.

ბაღათურიამ ანგარიშს „ბრალდებების 650-გვერდიანი ნუსხა“ უწოდა და აღნიშნა, რომ ისურვებდა, სახალხო დამცველისგან ინფორმაცია პოლიტიკური ნიშნით დაკავებულებზე მოისმინა.

„მე ვისურვებდი, რომ სახალხო დამცველს პოლიტიკური ნიშნით დაკავებულებზე, მათ შორის, ნორა კვიციანზე ესაუბრა, რომელიც მძევლად იმის გამო ჰყავთ, რომ ის ძებნილის, ემზარ კვიციანის დაა“, -აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

**მედიანიუსი**

თამარ ნინიძე

# საქართველო სიღარიბის მხრივ ბოცვანასა და ანგოლაზე უარეს დღეშია

**ინტერვიუ დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრ ზაზა სოფრომაძესთან**

**კოლუმბიის უნივერსიტეტმა სპეციალური კვლევის შედეგად მსოფლიოში ბედნიერი და უბედური ერების რეიტინგი გამოაქვეყნა. გამახსენდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი, რომელიც მან ბედნიერ ქართველ ერს მიუძღვნა. რატომ არის ამ რეიტინგში ქართველი ერი ავღანეთზე, სომალისა და რუანდაზე უბედური, ამის შესახებ 'ახალ თაობას~ დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი ზაზა სოფრომაძე ესაუბრა.**



ზაზა სოფრომაძე

– მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყოველდღიურად გვარწმუნებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალია, სამწუხაროდ, „ზრდის ტემპები“ არ აისახება თითოეული მოქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ აშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს, ეს მხოლოდ დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას არ ნიშნავს, თუმცა, დამეთანხმებით, ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლიანი სასამართლოს არსებობის მხრივაც სავალალოდ გვაქვს საქმე. დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მოსახლეობის მყარი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა.

***– მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, რა მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა სასიკეთოდ არ შეცვლილა და, პირიქით, გაუარესებისკენ მივდივართ?***

– მოგახსენებთ. ამ ბოლო ხანს რამდენიმე საერთაშორისო გამოცემამ გამოაქვეყნა საინტერესო რეიტინგები, რომლებიც გვიდასტურებს ზუსტად იმას, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქცევენ ყურადღებას ამას და, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც რეალურ ინფორმაციას დებენ. მინდა, რამდენიმე პირდაპირი მაჩვენებელი მოგიყვანოთ იმისა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. საქართველო არის ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანა. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა განსაზღვრავს ქვეყნის სიძლიერესა და მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობას. ამ მაჩვენებლით საქართველო რეგიონისა და მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა და 149-ე ადგილზეა. ამ მონაცემით საქართველოს უსწრებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან: აფრიკისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნები, ანგოლა, ბოცვანა, გაბონი, კოსტა რიკა, დომენიკის რესპუბლიკა და ა.შ. კიდევ ერთი მაჩვენებელია უმუშევრობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სოციალურ ვითარებაზე ქვეყანაში. ოფიციალური, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში მერყეობს 16-დან 17%-მდე. რუსეთში, ამიერკავკასიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 6-დან 7%-მდეა. ის 17%, რომელიც ჩვენ ვახსენეთ, გახლავთ ის მაჩვენებელი, როცა სოფლის მეურნეობის სისტემაში დასაქმებულად ითვლებიან გლეხები, რომელთაც მიწა აქვთ საკუთრებაში. გარდა ამისა, სწორედ ამის გამოა ეს მაჩვენებელი შემცირებული, რეალურად კი ის კიდევ უფრო მეტია. თბილისში უმუშევრობის მაჩვენებელი არის 30%, რაიონებში უფრო მეტია უმუშევრობა, ვიდრე თბილისში, იმის გამო, რომ დასაქმებულებად ითვლებიან ადამიანები, რომელთაც მიწა საკუთრებაში აქვთ. ამის ხარჯზეა ეს პროცენტი დაწეული. თბილისში დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვითდასაქმებულია. სახელმწიფოს როლი ამაში უმნიშვნელოა.

კიდევ სიღარიბის მაჩვენებელი, კერძოდ, საშუალო ხელფასი და საპენსიო ასაკში გასული ადამიანების უზრუნველყოფა როგორია. ჩვენს ხელისუფლებას ძალიან უყვარს პარალელების გავლება, ორივე ამ მაჩვენებლით ჩვენ ვართ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილზე. რუსეთთან თუ გავავლებთ პარალელებს, ვნახავთ, რომ იქ მინიმალური პენსია 270 დოლარია, მაშინ როცა საარსებო მინიმუმი არის 200 დოლარზე ოდნავ მეტი, ჩვენთან, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საარსებო მინიმუმი 150 ლარია და პენსიის ოდენობა საშუალოდ არის 50-70% ამ საარსებო მინიმუმისა. ბევრი ექსპერტი არ ეთანხმება მონაცემს 150-ლარიანი საარსებო მინიმუმის თაობაზე. რამდენჯერმეა გაზრდილი სამომხმარებლო კალათის ფასი იმ აუცილებელი პროდუქტებისა, რომლებიც საჭიროა ადამიანისთვის.

***– გარდა ამისა, კიდევ რა ინფორმაციები ვრცელდება საერთაშორისო კვლევებში?***

– გამოცემა „ბლუმბერგის“ მონაცემებით, საქართველო ვერ მოხვდა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების პირველ ორმოცდაათ ქვეყანას შორის. ეს რეიტინგი პირდაპირ აჩვენებს, როგორი ბიზნესგარემოა ქვეყანაში და რა სახის რეფორმებს საჭიროებს ეკონომიკა. ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესგარემო დიდი ხანია გაუარესებულია, „ბლუმბერგის“ რეიტინგი აგებულია არა ერთ ან ორ მაჩვენებელზე, არამედ ექვს ძირითად კრიტერიუმზე, რომლითაც ზუსტად შეიძლება განვსაზღვროთ, ქვეყანაში როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა. ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივით პირველ ადგილზე ვართ. ბიზნესის დაწყების სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის. სააკაშვილი გამოვიდა პარლამენტში და თქვა, რომ 100 ათასი ახალი ბიზნესია რეგისტრირებული ბოლო წლებში, მაგრამ ის ვინ დათვალა, რამდენი შპს და საწარმო გაკოტრდა, დატერორდა. ასე რომ, ეს არ არის ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის მაჩვენებელი. ის ბიზნესები, რომლებიც ყოველდღიურად რეგისტრირდება, ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებთანაა ასოცირებული. უმეტეს შემთხვევაში ეს ფირმები დარეგისტრირებული არიან ოფშორულ ზონებში. ვერ ნახავთ ვერც ერთ მიმართულებას ბიზნესში, სადაც სწორედ მონოპოლიური გარემო არ იყოს შექმნილი და მხოლოდ ორ-სამ მომწოდებელს არ ჰქონდეს თათი დადებული ამაზე, არ არის არანაირი სტრუქტურა ქვეყანაში, რომელიც ამ მონოპოლიურ გარემოს შექმნიდა და კონკურენტუნარიანს გახდიდა ბაზარს. მეორე რეიტინგის მიხედვით, ქალაქებით იწყება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კვლევა, რადგან უმეტესად სწორედ ქალაქებში ვითარდება ეკონომიკა. აქაც რამდენიმე კრიტერიუმი იყო აღებული – გარემო, კულტურული, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის კრიტერიუმები და სხვა. ამ რეიტინგში თბილისი ვერ მოხვდა, ისევე, როგორც „ბლუმბერგის“ რეიტინგში ვერ მოხვდა საქართველო. ისეა წარმოჩენილი, თითქოს თბილისი ბიზნესის კეთების კუთხით ოაზისია.

***– გაქვთ ინფორმაცია, კონკრეტული ახლად დაარსებული კომპანიების უკან ვინ დგას? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ახლახან ინფორმაცია სააგენტო „პირველმა“ გაავრცელა, რომელშიც გამოითქვა ვარაუდი, რომ ლუდის მწარმოებელ კომპანია „ზედაზნის“ უკან მერაბიშვილი და ადეიშვილი დგანან.***

– მე, სამწუხაროდ, არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია, მაგრამ თბილისში ასეთი ინფორმაცია რომ ვრცელდება, შესაძლოა, სიმართლესთან ახლოს იყოს. არ გამიკვირდება, თუ ეს სიმართლე იქნება. დღეს საქართველოში ყველა წარმატებულ ბიზნესს თავისი პატრონი ჰყავს. შეუძლებელია, რომელიმე ძალოვანი უწყების ჩარევის გარეშე ბიზნესმენმა წარმატებას მიაღწიოს. იგივე შეიძლება ითქვას „ბარამბოსთან“ დაკავშირებით. დღეს შეუძლებელია ამა თუ იმ საწარმოს რეალური მფლობელის ვინაობის გარკვევა. ხშირად ნამდვილი მეპატრონეების უკან ფიქტიური მფლობელები დგანან.

ახლახან კოლუმბიის უნივერსიტეტის ექსპერტებმა მსოფლიო ბედნიერების რეიტინგი გამოაქვეყნეს. ყველაზე ბედნიერნი არიან დანიელები, ფინელები, ნორვეგიელები, ჰოლანდიელები და კანადელები, ყოფილ საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილზეა საქართველო, შუა აზიაც ჩვენზე ბედნიერი ერია. 155 ქვეყნიდან 146-ე ადგილზე ვართ. ჩვენზე წინ არიან ავღანეთი, სომალი, რუანდა და ა.შ. გაანალიზებულია 33 მაჩვენებელი, მაგალითად, სამოქალაქო თავისუფლების მაჩვენებელი, კორუფციის არსებობა, სოციალური დაცვა, ჯანდაცვა, დემოგრაფიული მაჩვენებელი და სხვა.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ რეიტინგზე მაინც იცის რამე სააკაშვილმა?***

– ბუნებრივია, იცის, მაგრამ ყველაფერს ალამაზებს.

***– ბოლო დროს ეს გალამაზებაც აღარ შველის საქმეს. სააკაშვილი დასავლეთ ევროპის ელჩებს შემოსწყრა, დასავლეთის ქვეყნებზეა გაბრაზებული, ეტყობა, მისი ყალბი ინფორმაციები და სტატისტიკური მაჩვენებლები საერთაშორისო სტატისტიკასთან შეუსაბამობაშია.***

– შეიძლება, რაღაც დროით ეს ყველაფერი დამალოს, მუდმივად ამას ვერ დამალავს. ეს ხომ არ არის ოპოზიციის გამოგონილი ციფრები, ეს არის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები. ეს ინფორმაცია აქვთ დიპკორპუსის წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ეს ინფორმაციები გახმოვანდა გაეროს სპეციალურ კონფერენციაზე 2011 წელს. რაც უნდა იძახოს მიხეილ სააკაშვილმა ის, რომ მიმზიდველი გარემოა საქართველოში როგორც ბიზნესის, ასევე ტურიზმისთვის, ამ ტყუილებს მოკლე ფეხი აქვს. ინვესტიციების რაოდენობა შემცირებულია, როგორც შიდა, ასევე გარე ინვესტიციები. სამი მილიონი ტურისტი კი არ შემოსულა, არამედ სამი მილიონი ვიზიტორია შემოსული. ეს სულ სხვა რამეა. წამოსცდა სააკაშვილს და თქვა, ვიზიტორებიო. დიდ მაჩვენებლად მიიჩნია. ვიზიტორები გადმოკვეთენ საზღვარს, ტურისტები ჩამოდიან ქვეყანაში დასასვენებლად.

***– დონალდ ტრამპი ჩამოდის. რას ნიშნავს ეს?***

– ტრამპი საქართველოში თანხას კი არ აბანდებს, ის თანახმაა, რომ მისი ბრენდი იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ კომპლექსის მშენებლობისთვის. ფინანსურ რესურსს აქ ის არ აბანდებს. ტრამპი არამყარი რეპუტაციის ადამიანია და ამერიკაში ერთგვაროვანი აზრი არ არის მის შესახებ.

***– სააღდგომო დღესასწაულისთვის ყველა ემზადება. ადამიანებს სურთ, ოჯახში ჰქონდეთ კვერცხი და პასკა, მაგრამ მე მაინტერესებს, არის ფასების კლებისკენ რაიმე წინსვლა?***

– ყველა სახის პროდუქტზე ფასები მომატებულია. მონოპოლისტები არიან ქვეყანაში, რომლებსაც ეს პროდუქცია შემოაქვთ. არ არის კონკურენტუნარიანი გარემო და რამდენიმე ადამიანს აქვს ამ ბიზნესის კეთების უფლება. ზარალდება უბრალო ადამიანი, რომელსაც სურს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ამაღლებული განწყობით შეხვდეს და დატანჯულია იმაზე ფიქრით, რა შეიტანოს ოჯახში.

შალვა ჯოხაძე

# ხორციელდება თუ რა მეცხრე არხზე“ ზეწოლა

კომუნიკაციების ეროვნული კომისია მისი მხრიდან ივანიშვილის ტელევიზია „მეცხრე არხზე“ ზეწოლას უარყოფს. კომისიის მიმართ ეს და სხვა პრეტენზიები მედიაგაერთიანება „სოლიდარობა მედიის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლებს აქვთ. მედიაგაერთიანებამ დიპლომატიური კორპუსისათვის სპეციალური პეტიცია შეადგინა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას კვლავ სერიოზული საფრთხე ემუქრება.

– საქართველოს სამაუწყებლო ბაზარზე თითქმის აღარ დარჩა სამაუწყებლო კომპანია, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობას ალტერნატიულ ინფორმაციას მიაწვდის.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სიხშირეების დარეგულირების ნაცვლად თავისუფალ ტელევიზიებზე ზეწოლის მექანიზმად ჩამოყალიბდა, რომლის პერმანენტული ზეწოლის გამო ადგილობრივი დამოუკიდებელი მაუწყებლები კონკურენციას ვერ უწევენ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ეროვნულ მაუწყებლებს, – აცხადებენ მედიაგაერთიანებაში.

მედიაგაერთიანება „სოლიდარობა მედიის თავისუფლებისთვის“ მიიჩნევს, რომ მიუღებელია ორმაგი სტანდარტი, რომლითაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია ხელმძღვანელობს. იგი არ ინტერესდება იმ მაუწყებლებით, რომლებიც ხელისუფლებას ემსახურებიან, თუმცა, აქტიურად ახორციელებს თავისუფალ მაუწყებლებზე ზეწოლას.

– ცოტა ხნის წინ მარეგულირებელმა კომისიამ ტელეკომპანია „თრიალეთი“ სიხშირეების უკანონო გამოყენებისთვის 5000 ლარით დააჯარიმა, თუმცა, კომისიას ამის არგუმენტირებული დასაბუთება არ წარმოუდგენია.

მედიაგაერთიანება მარეგულირებელი კომისიისაგან მოითხოვს, ჟურნალისტებისა და ექსპერტების თანდასწრებით შემოწმდეს „თრიალეთის“ მიერ ლიცენზიით მინიჭებულ სიხშირეებზე მაუწყებლობა!

მედიაგაერთიანება ასევე აპროტესტებს ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანია „მე-9 არხზე“ განხორციელებულ ზეწოლას. კერძოდ, ხელისუფლება ცდილობს, ტელეკომპანიის გავრცელების არე მაქსიმალურად შეზღუდოს. ამისთვის მიმდინარეობს იმ საკაბელო ქსელების ოპერატორებზე ზეწოლა, რომლებიც პოტენციურად შეიძლება გახდნენ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ რეტრანსლაციის განმახორციელებლები. განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“.

შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ წინააღმდეგ გამართულ კამპანიაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომელიც ყოველგვარი კანონიერი საფუძვლისა და უფლებამოსილების გარეშე ზღუდავს საკაბელო ქსელის ოპერატორს და აიძულებს, ქსელიდან გათიშოს უცხოური პოპულარული ტელემაუწყებლები.

მედიაგაერთიანებას მიაჩნია, რომ კომისია გასცდა მისი რეგულირების სფეროს და მისი მოთხოვნები სცილდება მარეგულირებელი კომისიის იურისდიქციის ფარგლებს, – საუბარია პეტიციაში.

მედიაგაერთიანება „სოლიდარობა მედიის თავისუფლებისთვის“ მოითხოვს, შეწყდეს ზეწოლა თავისუფალ მედიაზე, შეწყდეს კონკრეტული მედიასაშუალებების დისკრიმინაცია და მოხდეს მათი თანაბარუფლებიან პირობებში ჩაყენება.

– მოვითხოვთ, დამთავრდეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უკანონო მოქმედებები და თავისუფალი ტელევიზიების ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცევისთვის ზეწოლა, – ნათქვამია პეტიციაში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ოპერატიულად გამოეხმაურა მედიაგაერთიანება „სოლიდარობა მედიის თავისუფლებისთვის“ პეტიციას. ორგანიზაციის პრესმდივნის, ხატია ყურაშვილის თქმით, მედიაგაერთიანება საზოგადოებას ცალმხრივსა და არასრულ ინფორმაციას აწვდის, რითაც მედიის სფეროს ხელოვნური პოლიტიზება ხდება.

– გვინდა განვმარტოთ, რომ კომისიამ შიდა ქართლში მონიტორინგი შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ჩაატარა. ტელეკომპანია „თრიალეთი“ კომისიას ატყობინებდა, რომ ხაშურში მოქმედი ტელეკომპანია „დია“ გარკვეული რადიოსიხშირულ სპექტრს კანონდარღვევით იყენებდა. მონიტორინგის შედეგად კანონდარღვევა შპს „დიას“ არ დაუფიქსირდა, თუმცა, ამავე მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ საკაბელო ოპერატორი (და არა მაუწყებელი) შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ 11.864-12.064 მჰც რადიოსიხშირულ სპექტრს შესაბამისი ლიცენზიის გარეშე იყენებდა. ეს დარღვევა დადასტურებულია კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმებითა და შემოწმების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმით.

აქედან გამომდინარე, კომისიამ შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოიყენა ჯარიმა – 5 000 ლარის ოდენობით. ამავე დროს, კომპანიას დაუყოვნებლივ აეკრძალა შესაბამისი უფლების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა, – აცხადებს ხატია ყურაშვილი.

ყურაშვილი დამატებით აღნიშნავს, რომ შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ ორ სხვადასხვა სახის ბიზნესსაქმიანობას ეწევა, კომპანია ახორციელებს ტელემაუწყებლობას და ასევე მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას ერთი და იმავე იურიდიული პირის პირობებში. ამ შემთხვევაში კომისიამ შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ დააჯარიმა, როგორც მაუწყებლობის ტრანზიტორი კომპანია და არა როგორც მაუწყებელი.

– აქვე ვაცხადებთ, რომ ეს უკვე მერამდენე მცდელობაა „თრიალეთის“ მხრიდან საკითხის პოლიტიზირებით საკუთარი დარღვევების გადაფარვისა. კომისია ყოველთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს. კანონის წინაშე კი ყველა პირი თანაბარია.

რაც შეეხება ტელეკომპანია „მე-9 არხს“ (შპს „იგრიკა“), აბსოლუტურად უსაფუძვლოა პრეტენზია ტელეკომპანიაზე ზეწოლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ სწორედ კომისიის გადაწყვეტილებით მიიღო ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ („იგრიკამ“) ჯერ საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია, მოგვიანებით კი – თანამგზავრული მაუწყებლობის უფლებაც. ასევე, მარტში კომპანია აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელიც გახდა. ასევე უსაფუძვლოა ბრალდება, თითქოს კომისია ზეწოლას ახორციელებს საკაბელო ოპერატორებზე, რომ მათ არ გაავრცელონ საკუთარ ქსელში აღნიშნული არხი. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მსგავს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში არასდროს ერევა, რადგან ის მის რეგულირების სფეროში არ შემოდის, – აღნიშნა ყურაშვილმა.

# საქართველოს ვერავინ შეაჩერებს

შორენა გონგლაძე



„მშვიდობისათვის“„ძალიან მნიშვნელოვანია“, რომ საქართველოს აქვს თავისი სამხედრო წარმოება და ავითარებს ნებაყოფლობითი რეზერვის ახალ სისტემას“, – ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საწარმო „დელტას“ თანამშრომლებთან სტუმრობისას გააკეთა. მისი განცხადებით, სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება საქართველოს „მომავალი ინდუსტრიული პოტენციალის ძალიან იმედისმომცემი საფუძველია.

„სახელმწიფომ აიღო ქარხანა მთლიანად კონტროლის ქვეშ – ეს და სხვა ქარხნები და აღმოჩნდა, რომ ყუმბარმტყორცნების გამოშვებაც, ავტომატებიც, ნაღმმტყორცნებიც... არავინ არ გვაძლევდა ანტისატანკო იარაღს 2008-მდე, ყველას ვეხვეწებოდით, რომ მოეცათ - ახლა, სხვათა შორის, უფრო გაიხსნა ეს ბაზრები, არც გვჭირდება ახლა ყიდვა – ჩვენი გამოვუშვით, ჩვენი გვაქვს“, – განაცხადა სააკაშვილმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ კარგად ვიმუშავებთ, ავაწყობთ ანტისაჰაერო სისტემას“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

შარშან ქართული წარმოების ჯავშანტრანსპორტიორის „დიდგორის“ გამოშვების შემდეგ, მიმდინარე წლის თებერვლიდან ადგილობრივი წარმოების კიდევ სამი სამხედრო საშუალების პრეზენტაცია გაიმართა: ქართული ქვეითთა საბრძოლო მანქანის „ლაზიკას“, ახალი ზალპური ცეცხლსასროლი რეაქტიული სისტემისა და სულ ბოლოს – უპილოტო საფრენი აპარატის (შეგახსენებთ, რომ 10 აპრილს საქართველომ წარმოადგინა საკუთარი წარმოების უპილოტო საფრენი აპარატი, რომლის საცდელ ფრენას პრეზიდენტი სააკაშვილი დაესწრო. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, აპარატის ფრენის ხანგრძლივობა 8 საათია, ფრენის სიმაღლე – 100-3000 მეტრი, ხოლო სიჩქარე 60-160 კმ/სთ-ია. მისი აფრენა ხორციელდება პნევმატური კატაპულტის მეშვეობით. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ორკამერიანი ვიდეოპლატფორმით, ფოტოკამერით, თერმული კამერითა და ინფრაწითელი კამერით აღჭურვილი საფრენი აპარატის გამოყენება შესაძლებელია დაზვერვის, თვალთვალის, სასაზღვრო პატრულირების, სანაპირო დაცვისა და ასევე სამოქალაქო მიზნებისთვის. საფრენი აპარატის მიწაზე დაშვებისას იხსნება პარაშუტი და, ამავე დროს, იბერება უსაფრთხოების ბალიში დაზიანების შემსუბუქების მიზნით.

„მომავალი წლიდან გვექნება (საფრენი აპარატების) იგივე ანალოგია, ოღონდ მას შეეძლება იარაღის გადატანა უკვე ბევრად უფრო გრძელ მანძილზე და ბევრად უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ძველი რუსული „შტურმავიკები“, – განაცხადა სააკაშვილმა. მან ასევე განაცხადა, რომ „უკვე გვაქვს სერიოზული მოლაპარაკებები“ ჯავშანტრანსპორტიორებისა და „ლაზიკას“ ექსპორტზე.

მისი თქმით, ქვეყნის თავდაცვის კუთხით „მართლა საოცრება“ ხდება, რადგან, გარდა ძირითადი შეიარაღებული ძალებისა, იქმნება ნებაყოფლობითი სარეზერვო სისტემა.

– ჩვენ დავიწყეთ რეზერვისტთა სისტემის ხელახალი აწყობა და მივიღეთ ფენომენალური შედეგი – ჩვენს მტერს ეს ძალიან აღიზიანებს და მათ ქართველ აგენტებს, ე.წ. პოლიტიკოსებს ძალიან აღიზიანებთ რეზერვისტები, მაგრამ სოფლებში, სადაც თავდაცვის სამინისტრო შევიდა, ყველა ზრდასრული მამაკაცი ჩაეწერა რეზერვში – გამაოგნებელი შედეგია – ყველა საქართველოს მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, – განაცხადა მან.

პრეზიდენტის თქმით, ზაფხულისთვის 70 ათასი ნებაყოფლობითი რეზერვისტი იქნება გადამზადებული, ხოლო მომავალ წელს მათი რიცხვი 150 ათასს მიაღწევს.

„ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა სოფელს ეყოლება რაზმი თავდაცვისათვის და ეს არის ყველაზე მყარი გარანტია მშვიდობის“, – განაცხადა მან და იქვე მოიყვანა ფაშისტური გერმანიის მაგალითი, რომელმაც „უარი თქვა შვეიცარიაში შესვლაზე, იმიტომ რომ შვეიცარია ერთადერთი ევროპული ქვეყანა იყო, რომელსაც აწყობილი ჰქონდა რეზერვისტთა სისტემა“.

„ვილაცებმა, მათ შორის, უცხოელმა დიპლომატმა, შეიძლება თქვას, რომ ეს რეზერვისტთა სისტემა მაინც რა ვიცით, კარგად შეისწავლეთ, უფრო დიდხანს განიხილეთ და 2008 წელს კარგად დავინახეთ: ჩვენ გვჭირდება შიდა ტერიტორიული დაცვა და არავინ არ გააკეთებს ჩვენს საქმეს, ჩვენ გარდა, – განაცხადა სააკაშვილმა, – საქართველომ, პირველ რიგში, თავისი ხალხის მეშვეობით უნდა იზრუნოს საკუთარი სამშობლოს დაცვაზე და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამას ყველა ერთად გავაკეთებთ, – განაგრძო მან, – მაგრამ, როცა ამ ხალხს ამზადებ, რა თქმა უნდა, უნდა აღჭურვო და, რა თქმა უნდა, გამიხარდება, რომ ჩვენ არ ვიყოთ დამოკიდებული ევროპული ან სხვა ქვეყნებიდან მოწოდებულ იარაღზე, არამედ ჩვენი გვქონდეს“.

„მშვიდობისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, როცა ქვეყანას აქვს თავისი წარმოება და, როცა ქვეყანას ჰყავს ასევე თავისი ხალხი, თავისი რეზერვისტთა სისტემა, შეიარაღებული ძალები – ეს არის შესაძლო აგრესორისთვის და საქართველოს შემთხვევაში აგრესორი ერთია, როგორც ვიცით ყველამ, ძალიან მკაფიო შემაკავებელი იმისათვის, რომ ჩვენს ეკონომიკას არ შეექმნას განვითარების პრობლემები; იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს ის ორნიშნა (ეკონომიკური) ზრდა, რომელმაც საქართველო უნდა მიიყვანოს იმ სინგაპურიზაციამდე, რომელზეც მე ვლაპარაკობ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს სჭირდება „ნახტომი“ და ის ვერ იქნება, „საშუალო სტატისტიკური“ ევროპული ქვეყნის მსგავსი, რომელიც ნელა ვითარდება.

„ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან მაგრები იმისათვის, რომ ქვეყანა წავიდეს წინ. ჩვენ ისეთ პირობებში ვართ, იმ გეოგრაფიაში ვართ, იმ საფრთხეების პირობებში ვოპერირებთ, ისეთი მწარე გამოცდილება გვაქვს, რომ არ შეიძლება საქართველო არ იყოს 5-6-ჯერ მაგარი, ვიდრე ნებისმიერი საშუალო ევროპული ქვეყანა, თუნდაც ახლა უკვე ევროკავშირის ახალი წევრები“, – განაცხადა მან.

„ეს არის ჩემი ამოცანა, ეს არის ჩემი ამბიცია და ეს არის ის, რაც საქართველოში მაინც ხდება, მიუხედავად მტრის ყველა ხრიკისა, მიუხედავად გარე და შიდა შერყევისა და პწკენების რაიმე მცდელობებისა. ხან ერთ კატას გამოთხრის ჩვენი აგრესორი, ხან მეორეს, ხან მესამეს – თხუნელას, კატას, არ ვიცი, რა ჰქვია მაგათ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა: „ვერანაირი თხუნელები ვერ შეაჩერებს საქართველოს წინსვლას“.

# პუტინს აფხაზეთის მიმართ ახალი გეგმა აქვს

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან



***– ბატონო მამუკა, ევროპის ქვეყნებისა და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გარკვეული პოლიტიკა იქნა შემუშავებული ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. „ჩართულობა აღიარების გარეშე“.***

– დიახ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაღიარების პოლიტიკა აქვთ, მაგრამ თანამშრომლობა დაშვებულია.

***– ევროპის ქვეყნებს აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართ არაღიარების პოლიტიკა აქვთ შემუშავებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პოლიტიკას თან ახლავს დათქმა, არაღიარება, მაგრამ თანამშრომლობა ამ რეგიონების ლიდერებთან. გამოდის, რომ ევროპის ქვეყნების მთავრობები სეპარატისტებთან თანამშრომლობას უშვებენ. ეს პოლიტიკა ჩვენ რას მოგვიტანს?***

– ეს არის ევროპის გარკვეული წრეების ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა. მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპასა და ამერიკაში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაა დაქირავებული ლობისტური კომპანიები, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, პოლიტიკურ წრეებთან, პოლიტიკურ ისტებლიშმენტებთან აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის აღიარების ლობირებას. განსაკუთრებით ამაში ფინანსური თვალსაზრისით გაზპრომი გამოირჩევა. არ არის გამორიცხული, გაზპრომის საცეცები მთელ მსოფლიოში იყოს და არის კიდევაც. ჩვენი ევროპელი მეგობრების რაიმეში დადანაშაულება არ მინდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ, ვთქვათ, რამენაირ აღიარებას აქვს ადგილი. ჩვენი ევროპელი პარტნიორები და საქმეში მონაწილე ადამიანები მიიჩნევენ, რომ არ აღიარებენ, მაგრამ ეს ტერიტორია რუსეთსაც არ დაუტოვონ სათარეშოდ. გარკვეული ლოგიკა ამაში არის, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციებში ისეთი დიდი სახელმწიფოსთვის, როგორიც რუსეთია, შედეგი მაინც ცუდია მარგინალური სახელმწიფოების აღიარება. თუმცა, ნებისმიერი პრეცედენტი ჩვენთვის არასასიამოვნოა.

***– შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ პოლიტიკის ფარგლებში მოხდა, ვთქვათ, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის, ჩირიკბას იტალიაში ვიზიტი? თუ იქაც მისწვდა გაზპრომის საცეცები?***

– ყველასთვის ცნობილი ფაქტია პუტინისა და ბერლუსკონის ურთიერთობა. ასევე ყველასთვის ცნობილი ფაქტია პუტინისა და გერმანიის ყოფილი კანცლერის შრიოდერის მეგობრული ურთიერთობები.

***– ახლა ბერლუსკონიც აღარ არის.***

– ბერლუსკონის ხელისუფლებაში ყოფნისას ცუდ რაღაცებს ველოდებოდით, მაგრამ ამ ადამიანმა მაინც ვერ გაბედა. ახლა, როცა ის ხელისუფლებაში არ არის, გარკვეული ძველი გავლენა გამოიყენოს არაპირდაპირი კონტაქტებისთვის. ჩირიკბას ვიზიტი სწორედ ასეთი გამოხმაურებაა. რატომ მაინცდამაინც იტალიაში და რატომ არა ნორვეგიაში, ან შვედეთში? იმიტომ, რომ ეს ფინანსური ინტერესებია, როგორც პუტინის, ისე ბერლუსკონის, ისე შრიოდერის და მოჯადოებული წრე იკვრება, მაგრამ ამის გაზვიადებაც არ ღირს.

***– უბრალოდ, ძალიან დიდი ეჭვი ჩნდება, როცა ასეთი დიდი ქვეყანა, როგორიც იტალიაა, ინტერესდება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სეპარატისტულ რეჟიმთან თანამშრომლობით, სეპარატისტ ლიდერებს ხვდებიან.***

– ეს თანამშრომლობა, რამდენადაც ვიცი, სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე არ არის, მაგრამ რამდენადაც ვიცი, სენატის წევრებს შეხვდა.

***– იტალიის სენატის საგარეო ურთიერთობის კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა.***

– დარწმუნებული ვარ, ამაში პუტინისა და ბერლუსკონის ხელი ურევია. არასასიამოვნო ფაქტია, როცა ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის სენატის წარმომადგენლები სეპარატისტებს თავიანთ ქვეყანაში ღებულობენ.

***– შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ...***

– ასეთი რამ არ ხდება...

***– მაგრამ იტალიის ელჩმა საქართველოში, ფაქტობრივად, ეს გაამართლა.***

– ელჩმა განაცხადა, რომ ოფიციალური ვიზიტი არ ყოფილა.

***– ელჩმა განაცხადა, რომ „იტალიის მთავრობის პოზიცია საქართველოს ორ ოკუპირებულ რეგიონთან – ოკუპირებულ აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით სრულად შეესაბამება ევროპის პოლიტიკას, რომლებიც რეგიონების დამოუკიდებლობის არაღიარებას გულისხმობს. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“. თუ ასეა, საინტერესოა, რა სტატუსით მიიღეს ჩირიკბა? მაშინ ჩვენი მეშვეობით არ უნდა შეხვედროდნენ?***

– გასაგებია. იმიტომ ვამბობ, რომ ვინც ჩირიკბას შეხვდა, მთავრობას არ წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი არის ცუდი სიგნალი. დარწმუნებული ვარ, ამაში ბერლუსკონისა და მისი კლანის გავლენაა ამ საკითხში იმიტომ, რომ პუტინის იდეაფიქსია, სანამ ის ხელისუფლებაშია ამერიკამ აფხაზეთი აღიაროს. უფრო მეტიც, მოხდეს სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის წარმოქმნის პროვოცირების მცდელობა.

***– როგორ?***

– პუტინი სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნას ცდილობს.

***– მერედა, ამის რა საფუძველი არსებობს? ამაზე რამენაირი განცხადებები გააკეთეს?***

– ამის რეალური საფუძველი საქართველოში არ არსებობს, მაგრამ იგივე პუტინის უახლოეს გარემოცვაში არიან პიროვნებები, მათ შორის, აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან (ეს ყველას არ ეხება, იქ პატრიოტებიც არიან), რომლებსაც საქართველო რუსეთის გავლენის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ.

***– სად არიან ასეთი ადამიანები, სამეგრელოში?***

– სამეგრელოშიც, აფხაზეთშიც და სხვაგანაც. აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან, ზუგდიდიდან და სხვა ადგილებიდან არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც დღეს პუტინის გვერდით იმყოფებიან. მათ შორის, ფსბ-ს თანამშრომლები, პუტინის თანაკურსელები, ქართველები, რომლებიც დღეს პუტინის ადმინისტრაციაში მუშობენ და წამყვანი თანამდებობები და სერიოზული პოზიციები უკავიათ. მათ საქართველო რუსეთის გავლენის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ. საერთოდ, მათთვის საქართველოს ნატოში შესვლა თავიანთ პირადულ კეთილდღეობაზე შეხებაა. ეს ადამიანები 2008 წლის ომის დროს ზუგდიდში იყვნენ ჩამოსულები. ამიტომ ეს საფრთხე არის. მე ახლა სიტყვა-სიტყვით გეტყვით ერთი პიროვნების ნათქვამს: სამეგრელოს სტატუსმა უნდა აიწიოს და აფხაზეთისამ უნდა დაიწიოს. წარმოიდგინეთ, სამეგრელოსა და აფხაზეთის სტატუსის გათანაბრება არის რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და პუტინის გარემოცვის გეგმები. ეს არის თანამედროვე რუსეთის ფედერაციის დოქტრინის ერთ-ერთი შემოქმედის, პრიმაკოვისა და ლიბერალური იმპერიის ერთ-ერთი შემოქმედის, ჩუბაისის გეგმების ნაწილი. ამ გეგმის განხორციელების მცდელობის რეალური მაგალითი იყო რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის აგვისტოში, როცა რუსეთის საოკუპაციო ჯარები პირდაპირ ცხენისწყლთან იყო განლაგებული. მათი შემცდარი ჭკუით, ფიქრობდნენ, რომ სამეგრელოში მრავალათასიანი მიტინგი ჩატარდებოდა და მოითხოვდნენ სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნას. შემდეგ ამას რუსის ჯარი გაამყარებდა. ეს იყო იმ ადამიანების ამღვრეული აზროვნების შედეგი, რომელსაც ეროვნებით ქართველები, პუტინის ფსბ-ს სკოლის თანაკურსელები უწყობდნენ ხელს. მათი ტრაგედია იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა.

***– ახლა რაიმე ნიშნებს ხედავთ, რომ ამაზე კრემლი მუშაობს სამეგრელოში?***

– ამის სერიოზულ საფუძველს ვერ ვხედავ, მაგრამ ის ქართველები, ვინც დღეს პუტინთან არიან, ამაზე იქ ოცნებობენ და მუშაობენ.

***– იქიდან მოგდით ინფორმაცია?***

– რა თქმა უნდა, იქიდან ინფორმაცია მომდის და იმიტომ აღვიქვი მე არაორაზროვნად, ვთქვათ, ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის განცხადება იმის თაობაზე, რომ სამეგრელოში არაფორმალური და არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებები რომ იყოს. ამ საშიშროებიდან გამომდინარე, თორემ დანარჩენი უკვე კომენტარები გაკეთდა.

***– აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. არჩევნების შემდეგ როგორი ვითარებაა?***

– არჩევნების შემდეგ ასეთი განლაგებაა: 3 კანდიდატი გაიყვანა „ედინაია აფხაზიამ“, 4 – ხაჯინბას დაჯგუფებამ, დანარჩენი დამოუკიდებელი კანდიდატებია. დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია ის, რომ უმრავლესობა ე.წ. პარლამენტში დამოუკიდებელი კანდიდატებია, ანუ გარკვეულ იდეოლოგიურ საფუძველზე კი არა, რაღაც კლანური დაჯგუფებების მიერ არიან გაყვანილები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დღევანდელმა ე.წ. პრეზიდენტმა ახალი პოლიტიკური ოპოზიციური ცენტრის შექმნა არ დაუშვა, ანუ ხაჯინბას ხმა 11 დეპუტატმა მისცა, ხოლო ბღანბას – 21. ბღანბა არის გაგრის კლანის წარმომადგენელი, რომელიც თავის დროზე ქართველების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, იბრძოდა. თუ არ ვცდები, 58 წლისაა. ომის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. ფაქტობრივად, აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების სტრუქტურებში პოლარიზაცია არ არის.

***– ხაჯინბას ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარედ გახდომის შემთხვევაში ე.წ. ხელისუფლებაში პოლარიზაცია მოხდებოდა?***

– საქართველოს დამოკიდებულებაში პოლარიზაცია არ მოხდებოდა, მაგრამ შიგნით ხელისუფლებისთვის ბრძოლაში მოხდებოდა.

***– აფხაზური საზოგადოება როგორ შეხვდა ამას?***

– ზოგი ამბობს, რომ მიესალმება, ზოგი ამბობს, მათთვის სულერთია, ანუ საზოგადოების უმრავლესობა პოლიტიკური კატეგორიებით არ აზროვნებს, აზროვნებს კლანური კატეგორიებით, რომელიც აისახა არჩევნების შედეგში. ე.წ. პარლამენტში ახალი პიროვნებებიც არიან, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების ახალი სულისკვეთება არ იგრძნობა.

***– რა შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი პოლიტიკური სულისკვეთების გამომხატველი?***

– ახალი შეიძლება ყოფილიყო, რუსეთს მიჯაჭვული აფხაზების პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება. ევროპული ორიენტაციის გააქტიურება. ამის დამდასტურებელი პარლამენტში რაღაც ყოფილიყო. ამბობენ, დამოუკიდებელი ვართ, მაგრამ დამოუკიდებლები არ არიან.

***– რა დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა აფხაზების პირველმა პირმა პუტინს მისცა ხმა საპრეზიდენტო არჩევნებში.***

– დიახ, ნომინალურად დამოუკიდებლებიც არ არიან.

***– კრემლის სურვილები გასაგებია, მაგრამ თვითონ აფხაზებს ქართველებთან ერთად, ერთ რესპუბლიკაში ცხოვრება უნდათ? ისინი ქართველებთან ერთად, ცხოვრობდნენ, მაგრამ გამოდევნეს. გალში მცხოვრებ ქართველებსაც ცუდად ექცევიან.***

– არ უნდათ. თუმცა, მე აქ სამკურნალოდ ჩამოსულ აფხაზებს შევხვედრივარ, რომლებიც დადებითად არიან განწყობილი ჩვენ მიმართ, მაგრამ როცა იქ ჩავიდნენ, ზეწოლის ქვეშ მიაცემინეს ჩვენი საწინააღმდეგო ინტერვიუ, თითქოს პალატას უშიშროების თანამშრომლები დარაჯობდნენ. ამ დროს ძალიან კარგ პირობებში იმყოფებოდნენ, ექიმები თავს ევლებოდნენ, მათ არავინ გაჰკარეია. ან რაში აინტერესებდათ, მომაკვდავი ჩამოიყვანეს და განკურნებული წავიდა.

# გოდერძი ჩოხელი კინოს სახლში გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი

კინოს სახლში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აღსაზრდელები შეიკრიბნენ და პედაგოგ ინესა აბესაძესთან ერთად ქართველი მწერალი, რეჟისორი და სცენარისტი გოდერძი ჩოხელი გაიხსენეს.

საღამოს მსახიობები თამარ სხირტლაძე, ტრისტან სალარიძე, ნინო ჩხეიძე ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე მისმა ორგანიზატორებმა გოდერძი ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილიც მიიწვიეს. საღამოს მამა თავმას ჩოხელიც ესწრებოდა, რომელმაც ღონისძიების ორგანიზატორები, მონაწილეები და სტუმრები დალოცა.

გოდერძი ჩოხელის ხსოვნის საღამოზე ნაჩვენები იყო რეჟისორის ფილმი „ადამიანთა სევდა", რომელშიც ქართული თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობებთან ერთად ბურდულების მთელი ოჯახი – გუჯა ბურდული და მისი შვილები ლადო, ბაკური და მაკა იღებდნენ მონაწილეობას. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აღსაზრდელები ეროვნულ სამოსში გამოწყობილები კითხულობდნენ გოდერძი ჩოხელის ლექსებს. საღამოს რეჟისურა მაკა ბურდულს ეკუთვნოდა. ღონისძიებაზე მიწვეული იყო მარინა კოლხიდაშვილიც, რომელიც რეჟისორ-მონტაჟიორია და მან გოდერძი ჩოხელის ფილმი გააკეთა.

როგორც კინოს სახლში ჩატარებულ საღამოზე გახდა ცნობილი, ბავშვებმა რეჟისორის ფილმი „ლუკას სახარება" ნახეს, რამაც შოკში ჩააგდო როგორც ბავშვები, ისე მათი მშობლები. მათ არ დაუმალავთ, რომ ფილმის ნახვისას ბევრი იტირეს.

გოდერძი ჩოხელის ხსოვნის საღამოს ჩატარების შემდეგ მხატვრული კითხვის პედაგოგი ინესა აბესაძე მიწვეულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სადაც უკვე მეოთხედ ტარდება კონკურსი მხატვრულ კითხვაში. ინესა აბესაძის მოსწავლეებიდან კონკურსში მონაწილეობა შვიდმა აღსაზრდელმა მიიღო, მათგან ოთხი ფინალში გადავიდა. 18 აპრილს უკვე კონკურსის ფინალური ეტაპი ჩატარდება და გამარჯვებულებიც დასახელდება. საფინალო ღონისძიების ჟიურიში, თავად ინესა აბესაძეც არის მიწვეული.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო წლის დასრულებამდე კი ინესა აბესაძე კიდევ არაერთი ღონისძიების ჩატარებას აპირებს.

**ინესა აბესაძე, ღონისძიების ორგანიზატორი:**

– ჩვენ გვინდოდა ამ საღამოს „ლუკას სახარება" გაგვეშვა ეკრანზე, მაგრამ ის წინასწარ ნახეს ბავშვებმა და საკმაოდ განიცადეს, ამიტომ ვაჩვენეთ ნაწყვეტი ფილმიდან „ადამიანთა სევდა", რომელშიც მთელი ჩემი ოჯახი მონაწილეობს. ლადოს მონოლოგი ვაჩვენეთ, სიკვდილის სცენა.

***– რატომ ურჩიეთ ბავშვებს „ლუკას სახარების" ნახვა? ის ხომ საკმაოდ მძიმე ფილმია?***

– იმიტომ, რომ ძალიან ძლიერი ფილმია. მინდოდა მაგ ფილმის გაშვება, მაგრამ მივხვდი, რომ ამით ბავშვებს კიდევ უფრო დავამძიმებდი.

***– როგორ შეარჩიეთ სტუმრები?***

– ფილმში „ლუკას სახარება" თამაშობს თამარ სხირტლაძე ბებიის როლს, ბავშვს კი გოდერძის შვილი თამაშობს. თამარ სხირტლაძის გარდა ჩვენ კინოს სახლში მოვიწვიეთ ნინო ჩხეიძე, უშანგის და, ტრისტან სალარიძე და თავად გოდერძი ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილი. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ღონისძიებაში ის იყო, დიდ ეკრანზე იყო გოდერძის სურათი, სადაც მას ბატკანი უჭირავს და მთელი საღამო მიდიოდა პატრიარქის საგალობლები. ბავშვებმა ჩემი გადაწყვეტილებით, ჩაიცვეს მთიულური სამოსი, რომ მთის სული მოგვეტანა საღამოზე. ძირითადად ლექსები გვქონდა წარმოდგენილი. პროზიდან მხოლოდ „ცასწავალა" შევარჩიეთ. არ მეგონა, თუ პროზა ლექსზე უფრო წინ წავიდოდა, თან როცა სცენიდან კითხულობ. ჩემი აღსაზრდელების გარდა, საღამოში თამარ ქორიძის ანსამბლმა და ნინო ტურაბელიძის ანსამბლმა „ნაბადი" იცეკვეს.

***– რატომ გოდერძი ჩოხელი?***

– ძალიან მინდოდა დედათა მონასტერში გოდერძის საფლავზე ჩაგვეტარებინა ეს ღონისძიება, თან გოდერძი ზინა კვერენჩხილაძის გვერდით არის დაკრძალული. ორივე ადამიანი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. გუჯის ვთხოვე ეშუამდგომლა დედა ქეთევანთან, რომ შევეშვით, რომელ საათზეც გვეტყოდა, მივდიოდით. დედა ქეთევანი საკმაოდ მკაცრია, მაგრამ დაგვრთო ნება, თუმცა სასახლემ არაფრით გაგვიშვა, დაცვა არ გვყავსო. ახალი დირექტორი გვყავს და მან ასე გადაწყვიტა, ამიტომაც მოგვიწია ღონისძიების კინოს სახლში ჩატარება.

***– კიდევ რას ჩაატარებთ?***

– შემდეგი იქნება პეტრე კვარაცხელია. 6 მაისს გიორგობის დღესასწაულზე სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩავატარებთ პოეზიის საღამოს. გვინდა ჩვენი წამყვანი ერეკლე სალლიანი იყოს. პეტრე კვარაცხელია სამების ტაძრის მოძღვარია, რომელიც ახლა იერუსალიმშია წასული წმინდა ცეცხლის გადმოსვლაზე.

***– რატომ დაინტერესდით მამა პეტრეთი?***

– რომ მივედი წიგნის გამოსართმევად, გავოცდი. არ მეგონა ასეთი პატარა ბიჭი თუ იყო. საოცარი ლექსები აქვს. მე უფრო ასაკოვან მამაოს ველოდებოდი, ასეთი ახალგაზრდა თუ იქნებოდა, ნამდვილად არ მეგონა. რაც მეწერება, იმას ვწერო, მითხრა. მამა პეტრემ გამოთქვა სურვილი დაესწროს ჩვენს რეპეტიციებს, როცა დაბრუნდება, გენერალურ რეპეტიციას აუცილებლად დავასწრებ.

**ნინო ჩხეიძე, მსახიობი:**

– ძალიან კარგი ღონისძიება იყო, ძალიან კმაყოფილი ვარ, დიდი მადლობა ქალბატონ ინესას და ყველა მომსვლელს, ვინც დაესწრო ამ ზეიმს. დიდი სიყვარულით, სიხარულით, პასუხისმგებლობით იყო ყველაფერი გაკეთებული. დიდი მადლობა, რომ კიდევ ერთხელ შეგვკრიბა ერთად. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ გოდერძი ჩოხელის მეუღლე იყო მოსული, იყვნენ მონაწილეები ფილმიდან „ადამიანთა სევდა", რომლებიც 20 წელიწადია აღარ მინახავს. ამ ფილმში მეც ვიღებდი მონაწილეობას. გოდერძი ჩოხელის სახელი ჩემთვის დიდი რამეა.




***– როგორი გახსოვთ გოდერძი ჩოხელი?***

– ყოველთვის მახსენდება მისი ღრმა განსწავლულობა, მისი დიდი ცოდნა და სიყვარული საქართველოს, სამშობლოს წინაშე, დიდი ფილოსოფიური ჩანაფიქრი მისი, დიდი გონიერება, დიდი ქართველობა მისი. გუდამაყარში გაზრდილი ბიჭი ფეხით ჩამოვიდა, ჩააბარა, კარგი პედაგოგი შეხვდა ლანა ღოღობერიძე. მოწმე ვარ, ქუთაისმა როგორ გადაუხადა იუბილე. ორი დღე და ღამე დავრჩით ქუთაისში. არასოდეს დამავიწყდება, როგორი იყო გოდერძის რეაქცია, როცა დავით აღმაშენებლის საფლავთან მივედით – დაიჩოქა, კოცნიდა დარუბანდის ჭიშკარს, ღვარღვარით ჩამოსდიოდა ცრემლები, როგორ ასხდებოდნენ საიდანღაც მოფრენილი მტრედები მხრებზე, თრთოდა ამ პატარა ბიჭის მთელი სხეული სიხარულისა და სიყვარულის გამო. ვერ აგიღწერთ როგორი იყო შთაბეჭდილება, როცა ბაგრატის ტაძარზე ავედით. ეფერებოდა, კოცნიდა, გულში იხუტებდა ძველ ჩუქურთმებს. ხელებგაშლილი ბაგრატის ნანგრევების ეზოში მივიდა, საიდანაც მთელი დასავლეთ საქართველო ჩანდა, იქ გადმოაღვარღვარა ცრემლები და შესძახა, შენ გენაცვალე ჩემო საქართველო, როგორ მიყვარხარო. მისი ხელების გაშლა უერთდებოდა აჭარის, იმერეთის, ახალციხის მთებს. მეგონა მთელ გალაქტიკაში საქართველოსთან ერთად ყველა იჯდა გოდერძის გულში, მის დიდ კაცობაში, მის დიდ ნიჭიერებაში, მის დიდ ფილოსოფიურ აზროვნებაში. მისი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან ნამდვილად დიდი დანაკლისია. სანამ დიდი პიროვნება ცოცხალია, შემოკრებილი ჰყავს დიდი მამულიშვილები, მაგრამ ისინი გარდაცვალების შემდეგაც კრებენ საზოგადოებას. ასეთი იყო გოდერძი ჩოხელი.

***– „სამოთხის გვრიტები" როგორ გახსენდებათ?***

– ამ ფილმმა დიდი პოპულარობა მომიტანა. ერთხელ ჩვენმა უწმინდესმა საპატრიარქოში მიმიწვია და დამაჯილდოვა გულსაკიდით. მესამე სართულზე ამიყვანა და ღიმილით მითხრა, „არ შაუჭამიაო?" ეს არის ჩემი სიტყვები „სამოთხის გვრიტებიდან". მთხოვა, ერთხელ კიდევ მიამბე კომბლეს ზღაპარიო. ვტიროდი, თან ხელებს ვუკოცნიდი და თან ვუყვებოდი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების გზაზე შევხვდი გოდერძი ჩოხელს, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა, დამანახა, მაგრძნობინა, აანთო ჩემი გული. სანამ ცოცხალი ვარ, მანამდე ლამპარივით იქნება ანთებული ჩემს გულში გოდერძი ჩოხელის ხსოვნა.

***– ბოლოს მასთან ერთად რომელ ფილმზე იმუშავეთ?***

– ბოლო ფილმი გოდერძისი, რომელიც არ უნახავთ ქართველებს, „მიჯაჭვული რაინდები" იყო. მისი გადაღებები ყაზბეგში მიმდინარეობდა, ლამის წელიწადი ვცხოვრობდი იქ. ფეხით ავსულვარ სამების ტაძართან და მილოცია. როგორ აღგიწეროთ ის განცდა, როცა ვიღებდით გივი ბერიკაშვილთან და კახი კავსაძესთან ერთად შატილში ფილმს. საქართველოს ისეთ ადგილებში წამიყვანა გოდერძიმ, სადაც ჩემი ცხოვრების განმავლობაში არ მოვხვდებოდი. ეს მისი დამსახურება იყო. როცა გოდერძი გარდაიცვალა, ქვაშვეთში ესვენა, მე და თამარ სხირტლაძე ჭირისუფლად ვისხედით, ხალხი მოდიოდა და როგორც მის ოჯახის წევრებს, ისე გვისამძიმრებდა. ეს დიდი პატივი იყო, იმ ღამეს ისე მძიმედ ვიყავი, სასწრაფო დამჭირდა. ღმერთმა გადამარჩინა, თაობებს მინდა დავუტოვო ანდერძად ჩემი ნაწერები, რასაც გოდერძიზე ამჟამად ვწერ. ბევრი რამ მიწერია და კიდევ ბევრ რამეს დავწერ, რადგან სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ.

**ნინო მელაშვილი, გოდერძი ჩოხელის მეუღლე:**

– ამ ღონისძიებით კმაყოფილ დავრჩი ბევრი რამის გამო. თუნდაც იმის გამო, რომ ბავშვები ეზიარნენ გოდერძის შემოქმედებას. ამ საღამოზე პატარა თაობაც იყო და ცოტა მოზრდილი თაობაც. ვიცი, რომ მათ ფილმებიც ნახეს, ეტყობა საჭიროა ის ცრემლიც, ის ტკივილიც, რაც მათ „ლუკას სახარების" ნახვამ განაცდევინა. გულდასაწყვეტია, რომ გოდერძი ძალიან ცოტა დოზით არის შეტანილი სასკოლო სახელმძღვანელოებში. თვითონ პედაგოგები ცდილობენ, რომ გააცნონ მოსწავლეებს გოდერძის შემოქმედება. ალბათ, არა მარტო გოდერძის შემოქმედებას, პედაგოგები ცდილობენ ბავშვები აზიარონ იმ მწერლების შემოქმედებას, ვინც არ არიან შეტანილი სახელმძღვანელოებში. როცა პედაგოგი ბავშვს ინტერესს უღვიძებს, არ არსებობს, მერე მას კიდევ უფრო არ დააინტერესოს. მიუხედავად იმისა, რომ გოდერძის უფრო ფილოსოფიური ლექსები აქვს, ამ ბავშვებმა ყველაფერი კარგად გააკეთეს.

***– ხშირად გეპატიჟებიან ასეთ საღამოებზე?***

– რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ყურადღება არ არის...

***– რას გულისხმობთ?***

– განათლების სამინისტრო უნდა იყოს დაინტერესებული თანამედროვე მწერლების სახელმძღვანელოებში შეტანაზე. განათლების სამინისტროსგან ვერანაირ დაინტერესებას ვერ ვხედავ. იყო სახელმძღვანელოებში, მაგრამ მერე ამოიღეს. გოდერძის შემოქმედება ახალგაზრდებისთვის უფრო ადვილად გასაგებია, სადა ენა აქვს. ხშირად მიწვევენ სკოლებში, ტარდება ღია გაკვეთილები, დადგმები გოდერძის შემოქმედებაზე. აღფრთოვანებული ვარ, რომ მასწავლებლები უწყობენ ამას ხელს. ქალბატონმა ინესამაც დააინტერესა ბავშვები გოდერძი ჩოხელით. გარდა იმისა, რომ სკოლებში ატარებენ ღონისძიებებს, სახლში ჩვენთანაც მოდიან. იყვნენ ამასწინათ მერვე კლასის მოსწავლეები. ინტერნეტში კი ჰქონდათ ყველაფერი მოძიებული, მაგრამ რომ ვკითხე, არაფერი არ ჰქონდათ წაკითხული. ვუყვებოდი მოთხრობების შესახებ, ვუყვებოდი გოდერძიზე, დიდი ინტერესით მისმენდნენ, ვაჩუქე წიგნები. გოდერძის კვირეული ყოფილა სკოლაში, სხვა სკოლებშიც ჩატარებულა და მესიამოვნა. რამდენიმე დღეში დამირეკა ერთმა გოგონამ, მეშვიდე კლასელი ვარო, გამეცინა, ასე ცალ-ცალკე ვერ მიგიღებთ, არ მცალია-მეთქი. ტელეფონით ვესაუბრე და ისეთი ჭკვიანი ბავშვი იყო,, გავოცდი. მითხრა, „მგელი და სიკვდილი" წავიკითხეო, სპეციალისტი არ ვარ, რომ კარგად ამეხსნა, მაგრამ რაც შევძელი, ავუხსენი. საოცარი ბავშვი იყო. საუბრის ბოლოს მითხრა, ხუთი წიგნი გვაქვს ბიბლიოთეკაში გოდერძი ჩოხელის და რამდენი ხანია, აღარ დევსო. მომწონს, რომ სკოლებში ლიტერატურის მასწავლებელი არიან მონდომებული, ისინი ინარჩუნებენ ქართულ სულისკვეთებას და მიაქვთ ბავშვებამდე. ზოგიერთ ოჯახში ალბათ საუბარიც არ არის ქართულ ლიტერატურაზე. მასწავლებელს ძალიან ბევრი ეკისრება ჩვენს დროში.

***– თავად ბატონ გოდერძის თუ უყვარდა ასეთ ღონისძიებებზე სიარული?***

– გოდერძის 90-იან წლებში ხშირად იწვევდნენ და ყოველთვის დიდი სიამოვნებით მიდიოდა, პირველკლასელებსაც რომ დაეძახათ, მაინც მიდიოდა. ღია გაკვეთილები ნამდვილად საჭირო და აუცილებელია. უკმაყოფილო არ ვარ, ნამდვილად კარგი მასწავლებლები გვყავს. ორმაგად მიხარია, როცა სტუდენტები და ბავშვები ინტერესდებიან გოდერძის შემოქმედებით. ასეთი მრავალმხრივი ადამიანი, ნამდვილად ცოტაა. იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეუღლე იყო, ის არ იყო მარტო პოეტი და მწერალი, ის იყო რეჟისორიც, კინოსცენარისტიც. ჩვენ, თანამედროვეებმა უნდა შემოვინახოთ მათი შემოქმედება და გადავცეთ მომავალ თაობებს, ამიტომ მსგავსი ღონისძიებები ნამდვილად მნიშვნელოვანია.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

# პორტუგალიამ საქართველო დაჩაგრა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდისთვის ემზადება. საამისოდ ოთარ კორღალიძის გუნდი პორტუგალიაში ოთხთა ტურნირზე თამაშობს, სადაც პირველ მეტოქედ მასპინძლები ერგო. სამწუხაროდ, ჩვენმა ნაკრებმა ეს მატჩი ძალიან სუსტად ჩაატარა და 0:5 წააგო.

ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს და კორღალიძე თავს მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებს, რომ სანაკრებოდ ამ ეტაპზე გუნდს ლეგიონერები აკლდა და მათგან მხოლოდ ყაზაიშვილი იყო გამოძახებული. თუმცა, ასეთ მარცხს გამართლება არანაირ შემთხვევაში არ აქვს.

ოთხთა ტურნირის მეორე შეხვედრაში საფრანგეთმა სერბეთს 2:0 სძლია. გუშინ გვიან გაიმართებოდა მეორე ტურის მატჩები: პორტუგალია-სერბეთი, საფრანგეთი-საქართველო.

საერთაშორისო ოთხთა ტურნირებს საქართველოს უმასპინძლებს, თუმცა, სხვა ასაკობრივ და სქესის ნაკრებებს. 14-22 აპრილს, თბილისში 16-წლამდე ვაჟთა და 17-წლამდე გოგონათა საერთაშორისო ტურნირები გაიმართება.

ტურნირები, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტულია და უეფას ეგიდით წელს პირველად იმართება. მასში მონაწილეობას, ძირითადად, ამიერკავკასიის ქვეყნების ასაკობრივი ნაკრებები მიიღებენ.

საქართველოს 16-წლამდე ნაკრებ გუნდს, რომელსაც ნოდარ აკობია წვრთნის, ყაზახეთის, სომხეთისა და თურქეთის ნაკრებებთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა.

შეჯიბრება 15 აპრილს დაიწყება. თამაშები კი „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონსა და სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" გაიმართება. ვაჟთა ტურნირის კალენდარი ასე გამოიყურება:

15 აპრილი: საქართველო-სომხეთი; თურქეთი-ყაზახეთი

17 აპრილი: მატჩი მესამე ადგილისთვის; ფინალი

რაც შეეხება გოგონების ტურნირს, საქართველოს 17-წლამდე გოგონათა ნაკრების მეტოქეები, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის გუნდები იქნებიან. შეჯიბრება 19 აპრილს დაიწყება.

19 აპრილი: საქართველო-ყაზახეთი; თურქეთი-აზერბაიჯანი

21 აპრილი: მატჩი მესამე ადგილისთვის; ფინალი

# დენის ლოუ: ფეხბურთის ყურება მაინცდამაინც არ მიყვარს"



**„მანჩესტერ იუნაიტედის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა კლუბის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის, დენის ლოუს ინტერვიუ, სადაც მან რამდენიმე საინტერესო თემაზე ილაპარაკა.**

***– ფერგიუსონმა თქვა, რომ მისთვის თქვენ უსაყვარლესი ფეხბურთელი იყავით და დღემდე გაფასებთ.***

– რამდენიმე გირვანქა სტერლინგი გადავუხადე, ეს რომ ეთქვა. ეს ხუმრობით და, შესაძლოა, მართლა ასეა – მე და ალექსი ხომ, პრაქტიკულად, ერთი თაობის ვართ. ალბათ, მას კარგად ახსოვს ჩემი თამაშები.

***– არ გინდათ, ფერგის კომპლიმენტითვე უპასუხოთ და მის სამწვრთნელო ნიჭზე ორიოდე სიტყვა თქვათ?***

– როცა პენსიაზე გავა, ის ფეხბურთის ისტორიაში უეჭველად შევა, როგორც უდიადესი მწვრთნელი.

***– გაგიხარდათ, როცა სქოულზმა კარიერა განაახლა?***

– ვფიქრობ, მისი გადაწყვეტილება ფეხბურთიდან წასვლაზე უდროო გახლდათ. სქოულზის ფორმის გათვალისწინებით, მას კიდევ შეუძლია, რამდენიმე სეზონი მაღალ დონეზე ჩაატაროს. ის ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელია და მასთან ერთად დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

***– „იუნაიტედის" შეხვედრებს ხშირად უყურებთ?***

– სიმართლე გითხრათ, არა. მხოლოდ გამორჩეულ თამაშებს ვუყურებ. მე უშუალოდ მოედანზე ყოფნა მანიჭებდა სიხარულს, ფეხბურთის ყურება კი მაინცდამაინც არ მიყვარს.

***– სეზონის დამაგვირგვინებელ მანჩესტერულ დერბის, ალბათ, მოუთმენლად ელით.***

– დიახ, მათ შეხვედრებს ტელევიზორით ხშირად ვუყურებ. ვიმეორებ, ფეხბურთის ყურების დიდი ტრფიალი არ ვარ, მაგრამ ასეთებს არ ვტოვებ.

***– თქვენი შვილი „სიტის" გულშემატკივარია, ასე არ არის?***

– დიახ, ასეა.

***– ოდესღაც განაცხადეთ, რომ უფრო ძლიერ კლუბში გსურდათ კარიერის გაგრძელება, ვიდრე „სიტი" იყო და ამის მერე იტალიის სერია ა-ში აღმოჩნდით. რას გვეტყვით ამ ისტორიის შესახებ?***

– თავიდან მე და ჯო ბეიკერმა იტალიურ ფეხბურთზე თითქმის არაფერი ვიცოდით. გულწრფელად გეტყვით, ამისთვის ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ახლა სიტუაცია სულ სხვანაირია. 21-22 წლის ბიჭები ახლა ბევრად წინ არიან წასული და უფრო მეტი გამოცდილებაც აქვთ. ჩვენ მაშინ სხვა ქვეყანაში ინგლისურისგან ბევრად განსხვავებულ ფეხბურთს ვთამაშობდით. იქ უზარმაზარი გამოცდილება მივიღე, რომელიც მერე „იუნაიტედში" გამომადგა.

***– „იუნაიტედში" ახლა პირიქით ხდება. საკლუბო აკადემიას ძალიან ბევრი იტალიელი ჰყავს – პეტრუჩი, მაკედა, მასაჩი, ფორნასიერი. როგორ ფიქრობთ, მათ ექნებათ რაიმე პრობლემა ადაპტაციაში?***

– რა თქმა უნდა. ხანდახან ასეთ სიტუაციებში ფეხბურთი უკანა პლანზე გადადის. როცა თამაშობ ქვეყანაში, სადაც არ ცხოვრობენ შენი მეგობრები, სადაც სულ სხვა თამაშია და სულ სხვა კულტურა, ყოველთვის რთულია. ასეთია ცხოვრება. ხანდახან ისეც ხდება, რომ ყველაზე იოლი შესაგუებელი ფეხბურთია ხოლმე.

# აბიდალს ღვიძლი გადაუნერგეს, მუამბას მინიდეფიბრილატორს ჩაუნერგავენ



„ბარსელონასა" და საფრანგეთის ნაკრების მცველმა ერიკ აბიდალმა ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია გაიკეთა, რომელიც თითქმის ცხრა საათს გაგრძელდა.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის გაზაფხულზე აბიდალს ღვიძლიდან ავთვისებიანი სიმსივნე ამოკვეთეს, თუმცა, მას შემდეგ ავადმყოფობა განვითარდა და ფეხბურთელს ტრანსპლანტაცია დასჭირდა.

რაც შეეხება „ბოლტონის" ნახევარმცველ პატრის მუამბას, რომელმაც 17 მარტს „ტოტენჰემთან" მატჩის მსვლელობისას გულის შეტევა გადაიტანა, საავადმყოფოდან გამოწერამდე კიდევ ერთ ოპერაციას გაუკეთებენ, ოღონდ – ნაკლებად რთულს.

„სკაი სპორტის" ინფორმაციით, ფეხბურთელს მინიდეფიბრილატორს ჩაუნერგავენ, რომელიც მუამბას თავს აარიდებს ისეთ სიტუაციას, როდესაც ის 78 წუთის განმავლობაში კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იყო. აღსანიშნავია, რომ 23 წლის მოთამაშეს ეს მოწყობილობა ვარჯიშში ხელს არ შეუშლის. თუ აბიდალსა და მუამბას გაუმართლა, ამას ვერ ვიტყვით „სევილიას" ყოფილ ფეხბურთელ ანტონიო პუერტაზე. ესპანეთის ქალაქ სევილიას ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაერქმევა. ამგვარად, ანდალუზიელი მცველი, რომელმაც 2007 წელს, სიცოცხლე საფეხბურთო მოედანზე დაასრულა, სევილიელთა ისტორიაში სამუდამოდ დარჩება.

გაზეთ „მარკას" ცნობით, ეს ინიციატივა კლუბის გულშემატკივრებს ეკუთვნით. მათ მიაჩნიათ, რომ პუერტა ქალაქის სიმბოლოა. ამ იდეით სევილიის მერი ხუან იგნასიო სოიდო დაინტერესდა და ქომაგებს თხოვნის შესრულებას დაჰპირდა. შეგახსენებთ, რომ პუერტა 2007 წლის 28 აგვისტოს 22 წლის ასაკში „ხეტაფესთან" მატჩის მიმდინარეობისას გულის შეტევით დაიღუპა. „სევილიას" შემადგენლობაში მან ესპანეთის თასი, ესპანეთის სუპერთასი, ევროპის სუპერთასი და უეფას თასი (2-ჯერ) მოიგო.

# ანტონიო კონტე: ალესანდრო დელ პიერო მხსნელია!



იტალიის სერია ა-ს მიმდინარე ტურნირში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი „იუვენტუსის" ლეგენდამ, ალესანდრო დელ პიერომ „ლაციოსთან" მატჩში გაიტანა. პინტურიკიომ 82-ე წუთზე საჯარიმო ზუსტად შეასრულა და ერთდღიანი შესვენების შემდეგ ტურინელებს პირველი ადგილი დაუბრუნა.

სანამ საქმეში დელ პიერო ჩაერთვებოდა, ანგარიში 1:1 იყო. „იუვემ" ანგარიში ძალიან ლამაზი გოლით გახსნა – 30-ე წუთზე საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფმა პირლომ 3 მეტოქე გარს შემოიხვია და პეპეს ბრწყინვალე პასი გაუკეთა, მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომმა თავდამსხმელმა კი ბურთი მკერდით გაიჩერა და ბრუნვაში დარტყმით ანგარიში გახსნა. „ლაციალემ" 45-ე წუთზე გაათანაბრა – მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს მაურიმ თავი ზუსტად დაჰკრა.

შემდეგ იყო დელ პიეროს გოლი. ალესანდრო მოედანზე 73-ე წუთზე შევიდა და 9 წუთში დაახლოებით 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა, რითიც გუნდს ძალზე მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

საერთოდ, ბოლო მატჩებია, დელ პიერო, რომელსაც სეზონის ბოლო კონტრაქტი უმთავრდება და „იუვენტუსის" ხელმძღვანელობა მის გახანგრძლივებაზე არ ფიქრობს, წარმატებული მატჩები გამოუვიდა. სერია ა-ს ბოლო ოთხ მატჩში, ალესანდრო დელ პიერო ყოველთვის შეცვლაზე შევიდა და ამ შეხვედრებში 37 წლის შემტევმა 2 გოლი გაიტანა და 1 შედეგიანი პასი გააკეთა.

ტურინელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ განაცხადა, რომ ძალიან იმედგაცრუებული იქნებოდა, თუ რომის „ლაციოსთან" (2:1) იტალიის ჩემპიონატის 32-ე ტურის შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა და, ცხადია, დელ პიეროს ამაგი არ დაივიწყა.

– მიმდინარე სეზონში ფრედ ბევრი ასეთი მატჩი დავასრულეთ, რომელშიც უნდა გაგვემარჯვა – „ჯენოასთან", „კალიართან" თუ „კიევოსთან". ახლაც არმოგება საწყენი იქნებოდა. წინ პატარა ნაბიჯი გადავდგით, თუმცა, კიდევ ბევრი მატჩია დარჩენილი. სკუდეტოსთვის ბრძოლაზე უნდა გადავერთოთ. დელ პიერო? საბედნიეროდ, ის გამოვიდა და გაიტანა. ის ყოველთვის გვეხმარება, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიმე წუთით გამოდის თუ მთელი მატჩის მანძილზე მოედანზეა, – განაცხადა კონტემ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

კოსტა რიკა-ჰონდურასი ............ 1:1
პერუ-ჩილე ............ 0:3

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-არსენალი ............ 0:3
სიტი-ვესტ ბრომვიჩი ............ 4:0
უიგანი-მანჩესტერი ............ 1:0
ქპრ-სუონსი ............ 3:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 33 | 25 | 4 | 4 | 78:28 | 79 |
| 2.სიტი | 33 | 23 | 5 | 5 | 79:26 | 74 |
| 3.არსენალი | 33 | 20 | 4 | 9 | 66:41 | 64 |
| 4.ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57:38 | 59 |
| 5.ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50:42 | 59 |
| 6.ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56:38 | 57 |
| 7.ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38:34 | 47 |
| 8.ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40:36 | 46 |
| 9.ფულემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43:43 | 43 |
| 10.ნორვიჩი | 33 | 11 | 10 | 12 | 46:52 | 43 |
| 11.სანდერლენდი | 33 | 11 | 9 | 13 | 42:41 | 42 |
| 12.სტოკი | 33 | 11 | 9 | 13 | 32:45 | 42 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 11 | 6 | 16 | 39:47 | 39 |
| 14.სუონსი | 33 | 10 | 9 | 14 | 35:44 | 39 |
| 15.ასტონ ვილა | 32 | 7 | 14 | 11 | 35:44 | 35 |
| 16.ქპრ | 33 | 8 | 7 | 18 | 38:56 | 31 |
| 17.უიგანი | 33 | 7 | 10 | 16 | 31:57 | 31 |
| 18.ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36:65 | 29 |
| 19.ბლექბერნი | 33 | 7 | 7 | 19 | 45:70 | 28 |
| 20.ვულვზი | 33 | 5 | 7 | 21 | 34:73 | 22 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალენსია-რაიო ............ 4:1
გრანადა-ბილბაო ............ 2:2
ხიხონი-ლევანტე ............ 3:2
ატლეტიკო-რეალი ............ 1:4

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 32 | 26 | 4 | 2 | 104:28 | 82 |
| 2.ბარსელონა | 32 | 24 | 6 | 2 | 94:23 | 78 |
| 3.მალაგა | 31 | 15 | 5 | 11 | 47:43 | 50 |
| 4.ვალენსია | 32 | 14 | 10 | 8 | 50:38 | 52 |
| 5.ლევანტე | 32 | 14 | 6 | 12 | 46:44 | 48 |
| 6.ოსასუნა | 32 | 11 | 13 | 8 | 37:52 | 46 |
| 7.ბილბაო | 32 | 10 | 12 | 10 | 47:44 | 42 |
| 8.სევილია | 31 | 11 | 9 | 11 | 36:33 | 42 |
| 9.ატლეტიკო | 32 | 11 | 9 | 12 | 43:41 | 42 |
| 10.ესპანიოლი | 32 | 11 | 9 | 12 | 39:43 | 42 |
| 11.ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 33:43 | 42 |
| 12.რაიო | 32 | 12 | 4 | 16 | 49:57 | 40 |
| 13.ბეტისი | 32 | 11 | 6 | 15 | 39:45 | 39 |
| 14.სოსიედადი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:48 | 38 |
| 15.მალიორკა | 31 | 9 | 10 | 12 | 32:40 | 37 |
| 16.გრანადა | 32 | 10 | 6 | 16 | 30:48 | 36 |
| 17.ვილიარეალი | 31 | 7 | 11 | 13 | 31:45 | 32 |
| 18.ხიხონი | 32 | 7 | 7 | 18 | 32:60 | 28 |
| 19.სარაგოსა | 31 | 7 | 7 | 17 | 28:56 | 28 |
| 20.რასინგი | 31 | 4 | 13 | 14 | 23:48 | 25 |

### იტალია. სერია ა

ჯენოა-ჩეზენა ............ 1:1
ინტერი-სიენა ............ 2:1
კატანია-ლეჩე ............ 1:2
ნაპოლი-ატალანტა ............ 1:3
რომა-უდინეზე ............ 3:1
ფიორენტინა-პალერმო ............ 0:0
პარმა-ნოვარა ............ 2:0
იუვენტუსი-ლაციო ............ 2:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 18 | 14 | 0 | 53:18 | 68 |
| 2.მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62:26 | 67 |
| 3.ლაციო | 32 | 16 | 6 | 10 | 48:40 | 54 |
| 4.უდინეზე | 33 | 14 | 9 | 9 | 44:32 | 51 |
| 5.რომა | 32 | 15 | 5 | 12 | 52:42 | 50 |
| 6.ნაპოლი | 32 | 12 | 12 | 8 | 56:41 | 48 |
| 7.ინტერი | 32 | 14 | 6 | 12 | 47:45 | 48 |
| 8.კატანია | 32 | 10 | 13 | 9 | 42:43 | 43 |
| 9.კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30:40 | 42 |
| 10.ატალანტა | 32 | 11 | 13 | 8 | 37:34 | 40 |
| 11.პალერმო | 32 | 11 | 7 | 14 | 44:49 | 40 |
| 12.სიენა | 32 | 10 | 9 | 13 | 37:34 | 39 |
| 13.კალიარი | 31 | 9 | 11 | 11 | 33:38 | 38 |
| 14.პარმა | 32 | 9 | 11 | 12 | 41:50 | 38 |
| 15.ბოლონია | 31 | 9 | 10 | 12 | 32:38 | 37 |
| 16.ფიორენტინა | 32 | 9 | 10 | 13 | 32:38 | 37 |
| 17.ჯენოა | 32 | 9 | 9 | 14 | 43:58 | 36 |
| 18.ლეჩე | 32 | 8 | 10 | 14 | 37:48 | 34 |
| 19.ნოვარა | 32 | 5 | 10 | 17 | 27:54 | 25 |
| 20.ჩეზენა | 32 | 4 | 9 | 19 | 19:48 | 21 |

ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა

### გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-კაიზერი ............ 3:1
დორტმუნდი-ბაიერნი ............ 1:0
ჰანოვერი-ვოლფსბურგი ............ 2:0
ნიურნბერგი-შალკე ............ 4:1
ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი ............ 4:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 30 | 21 | 6 | 3 | 67:22 | 69 |
| 2.ბაიერნი | 30 | 20 | 3 | 7 | 69:20 | 63 |
| 3.შალკე | 30 | 18 | 3 | 9 | 65:39 | 57 |
| 4.გლადბახი | 30 | 15 | 8 | 7 | 43:22 | 53 |
| 5.შტუტგარტი | 30 | 13 | 7 | 10 | 55:40 | 46 |
| 6.ლევერკუზენი | 30 | 12 | 8 | 10 | 43:40 | 44 |
| 7.ჰანოვერი | 30 | 11 | 11 | 8 | 39:42 | 44 |
| 8.ვერდერი | 30 | 11 | 9 | 10 | 44:46 | 42 |
| 9.ვოლფსბურგი | 30 | 12 | 4 | 14 | 41:54 | 40 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 38:40 | 40 |
| 11.მაინცი | 30 | 9 | 9 | 12 | 47:48 | 36 |
| 12.ნიურნბერგი | 30 | 10 | 5 | 15 | 31:42 | 35 |
| 13.ფრაიბურგი | 30 | 9 | 8 | 13 | 41:56 | 35 |
| 14.ჰამბურგი | 30 | 7 | 10 | 13 | 33:55 | 31 |
| 15.აუგსბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 32:47 | 30 |
| 16.კიოლნი | 30 | 8 | 5 | 17 | 36:63 | 29 |
| 17.ჰერტა | 30 | 6 | 9 | 15 | 31:54 | 27 |
| 18.კაიზერი | 30 | 3 | 11 | 16 | 19:44 | 20 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

აინტრახტი-ინგოლშტადი ............ 1:1
ალემანია-ბოხუმი ............ 2:0
კარლსრუე-დინამო ............ 2:0
მიუნხენი-დუისბურგი ............ 2:1
აუე-პადერბორნი ............ 0:2

### საფრანგეთი. თასი

კევიი-რენი ............ 2:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-მონპელიე ............ 1:3

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელიე | 31 | 20 | 6 | 5 | 58:29 | 66 |
| 2.პსჟ | 31 | 18 | 9 | 4 | 56:33 | 63 |
| 3.ლილი | 31 | 15 | 11 | 5 | 56:35 | 56 |
| 4.ლიონი | 31 | 16 | 5 | 10 | 49:38 | 53 |
| 5.ტულუზა | 31 | 14 | 8 | 9 | 32:28 | 50 |
| 6.რენი | 31 | 13 | 9 | 9 | 41:35 | 48 |
| 7.სენტ ეტიენი | 31 | 13 | 8 | 10 | 38:35 | 47 |
| 8.ბორდო | 31 | 10 | 12 | 9 | 36:34 | 42 |
| 9.მარსელი | 31 | 10 | 10 | 11 | 38:35 | 40 |
| 10.ევიანი | 31 | 10 | 9 | 12 | 43:46 | 39 |
| 11.ნანსი | 31 | 10 | 9 | 12 | 31:37 | 39 |
| 12.ვალანსიენი | 31 | 10 | 7 | 14 | 31:36 | 37 |
| 13.ნიცა | 31 | 8 | 10 | 13 | 32:36 | 34 |
| 14.დიჟონი | 31 | 9 | 7 | 15 | 37:51 | 34 |
| 15.ბრესტი | 31 | 6 | 15 | 10 | 27:30 | 33 |
| 16.კაენი | 31 | 8 | 9 | 14 | 33:44 | 33 |
| 17.აიაჩო | 31 | 7 | 12 | 12 | 32:50 | 33 |
| 18.ლორიენი | 31 | 7 | 11 | 13 | 28:40 | 32 |
| 19.სოშო | 31 | 7 | 9 | 15 | 32:48 | 30 |
| 20.ოსერი | 31 | 5 | 12 | 14 | 36:46 | 27 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ალკმაარი-ტვენტე ............ 2:2
ბრედა-ერაკლესი ............ 1:2
ვალვაიკი-პსვ ............ 2:1
როდა-ფეინოორდი ............ 0:0
ჰერენვენი-აიაქსი ............ 0:5

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 29 | 18 | 7 | 4 | 81:33 | 61 |
| 2.ალკმაარი | 29 | 17 | 7 | 5 | 58:29 | 58 |
| 3.ტვენტე | 29 | 15 | 8 | 5 | 73:34 | 56 |
| 4.ფეინოორდი | 29 | 16 | 7 | 6 | 57:33 | 55 |
| 5.პსვ | 29 | 16 | 6 | 7 | 71:42 | 54 |
| 6.ჰერენვენი | 29 | 15 | 9 | 5 | 64:48 | 54 |
| 7.ვიტესი | 28 | 12 | 6 | 10 | 37:34 | 42 |
| 8.ნაიმეგენი | 29 | 12 | 4 | 13 | 35:36 | 40 |
| 9.ვალვაიკი | 29 | 12 | 4 | 13 | 31:40 | 40 |
| 10.როდა | 29 | 12 | 2 | 15 | 47:59 | 38 |
| 11.ერაკლესი | 29 | 10 | 6 | 13 | 44:49 | 36 |
| 12.გრონინგენი | 28 | 10 | 5 | 13 | 39:52 | 35 |
| 13.უტრეხტი | 28 | 8 | 9 | 11 | 43:47 | 33 |
| 14.ბრედა | 29 | 8 | 6 | 15 | 36:45 | 30 |
| 15.დენ ჰააგი | 28 | 7 | 8 | 13 | 30:52 | 29 |
| 16.ვენლო | 28 | 7 | 4 | 17 | 32:64 | 25 |
| 17.ექსელსიორი | 29 | 4 | 6 | 19 | 23:64 | 18 |
| 18.გრააფსხაპი | 28 | 4 | 4 | 20 | 22:62 | 16 |

### რუსეთი. თასი

რუბინი-როსტოვი ............ 2:0
დინამო-ვოლგა ............ 2:1

### შვეიცარია. თასი

სიონი-ლუცერნი ............ 0:1

### ავსტრია. თასი

ლუშტენაიუ-აუსტრია ............ 1:2
ზალცბურგი-ზალცბრუგი(მ) ............ 4:1
შტურმი-ჰარტბერგი ............ 2:4(დდ)

### ბელგია. პროლიგა

პლეი ოფი

გნეკი-კორტრაიკი ............ 2:0
გენტი-ანდერლეხტი ............ 1:4

### თურქეთი. თასი

ფენერბახჩე-ქაისერი ............ 2:2(5:4პ)

### ჩეხეთი. თასი

სიგმა-ტეპლიცე ............ 0:0
სპარტა-იაბლონეცი ............ 1:0

### პოლონეთი. თასი

ლეგია-არკა ............ 2:1

### შვედეთი. ალსვენსკა

გაისი-დიურგარდენი ............ 0:0
იორებრო-ჰელსინბორგი ............ 0:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-ინდიანა ............ 98:104(ოტ)
ტორონტო-ფილადელფია ............ 75:93
ბოსტონი-ატლანტა ............ 88:86(ოტ)
ზაზა ფაჩულია: 13 ქულა, 7 მოხსნა
მემფისი-ფინიქსი ............ 104:93
მილუოკი-ნიუ იორკი ............ 107:111
მილუოკი-საკრამენტო ............ 105:96
ოკლაჰომა-კლიპერსი ............ 98:100
ჰიუსტონი-იუტა ............ 91:103
სან ანტონიო-ლეიკერსი ............ 84:98
დენვერი-მინესოტა ............ 113:107
პორტლენდი-გოლდენ სტეიტი ............ 118:100

## ჩოგბურთი

### ვტა. ბარსელონა. თიხა

ჰერცოგი-კირსტეა ............ 4:6;0:6
ცეტკოვსკა-სუარეს ნავარო .. 2:6;4;6
ერანი-კანდელა ............ 6:0;6:2
ვინჩი-ჰალეპი ............ 1:6;3:6

### ვტა. კოპენჰაგენი. ჰარდი

ბარტელი-ბრიანტი ............ 6:3;6:2
ფიოგელი-იოვანოვსკი ............ 3:6;4:6
კანეპი-ბაბოში ............ 7:5;4:6;7:6
მარტიჩი-კონტა ............ 6:2;6:3
იანკოვიჩი-რობსონი ............ 6:4;7:6
კორნე-აჰლაიტნერი ............ 6:2;2;6;7:5

## ჰოკეი

### ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე

პიტსბურგი-ფილადელფია ............ 3:4
სერიის ანგარიში ............ 0:1
ნეშვილი-დეტროიტი ............ 3:1
სერიის ანგარიში ............ 1:0
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი ............ 2:4
სერიის ანგარიში ............ 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნიკო გომელაურის საფლავთან სტუდენტები შეიკრიბებიან

ეკა ირემაშვილი



მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის გარდაცვალებიდან 13 აპრილს ორი წელი შესრულდა. როგორც მისმა მეუღლემ ნინა ჩოდრიშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, ამ დღეს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შექმნილი ჯგუფის წევრები, რომელიც სტუდენტებსა და ნიკოს შემოქმედების თაყვანისმცემლებს აერთიანებს, დიდუბის პანთეონში ნიკოს საფლავთან შეიკრიბებიან და მის ლექსებს წაიკითხავენ.

ნიკო გომელაური 39 წლის ასაკში საკუთარ სახლში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მსახიობს მეუღლე და ორი შვილი დარჩა. მსახიობი და პოეტი ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებულად შეიყვარა. ნიკოს წინა დღეს მონაწილეობა უნდა მიეღო ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო საღამოში, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მონაწილეობა ვერ შეძლო. ფონდმა მისი სახელით სამ მრავალშვილიან ოჯახს ბინა გადასცა. ნიკო გომელაურს ეკუთვნის „იავნანას“ ცნობილი სლოგანიც – „მე მინდა, მქონდეს თბილი სახლი“. ნიკომ პირველი როლი თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლში „გუშინდელნი“ ითამაშა. მიღებული აქვს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, ბრესტისა და ტრაპზონის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

ლექსების პირველი წიგნი 2001 წელს გამოსცა. სულ გამოცემული აქვს ხუთი პოეტური კრებული. ნიკოს გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ გამოსცა წიგნი „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“, რომელიც ბესტსელერია და მასზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია.

ერთ-ერთ ინტერვიუში ნიკო გომელაურმა ჟურნალისტს უთხრა – ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ბოროტებისთვის კი არა, სიყვარულისთვის ვართ გაჩენილები. ნამდვილი გრძნობით ნათქვამი „მიყვარხარ“ არასოდეს გაუფასურდება.

ნიკო გომელაურის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ – 2011 წლის 13 აპრილს საქართველოს კინოთეატრებში მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ნიკო... აპლოდისმენტები“ გამოვიდა, რომლის რეჟისორიც გიორგი ბერიძეა, სცენარი პაველ ფინს და ადვით მარკიშს ეკუთვნით, პროდიუსერები არიან ნათია მეფარიშვილი და დავით ბეჟიტაშვილი. ფილმში მონაწილეობენ ზურა ყიფშიძე და მსახიობის მეუღლე ნინა ჩორდიშვილი. ეს ფილმი-აღსარებაა. ფილმის რეჟისორი გიორგი ბერიძე მსახიობისა და პოეტის იდუმალ, დიდ სამყაროს გვიხატავს. ზურა ყიფშიძე, ნიკოსთან ერთად, კიდევ ერთხელ აზიარებს მაყურებელს მის უკვდავ პოეზიას. ფილმში მონაწილე ადამიანები ამბობენ ნიკოზე იმას, რაც მათგან მხოლოდ მას თუ სმენია ან რისი მოსმენაც არ დასცალდა. თეატრის და კინოს ცნობილი სახეები ამჯერად პერსონაჟებად კი არ გარდაისახნენ, არამედ საკუთარი თავი განასახიერეს.

**ნინა ჩოდრიშვილი, ნიკო გომელაურის მეუღლე:**

– სოციალურ ქსელებში არ იცით, რა რაოდენობით მწერენ – ქალბატონო ნინა, არ დაგვავიწყოთ ნიკოს სახელი, რა. სასაფლაოზე მისული როცა ვხედავ, რომ ნიკოს საფლავზე უცხოები არიან, ახლოს მისვლა მერიდება, არ დავურღვიო მათი დამოკიდებულება ნიკოსადმი-მეთქი და მივტრიალდები და მივდივარ. ტოვებენ ლექსებს, წერილებს. იქ ერთი ქალი მიგროვებს ნაწვიმარ, დატალახიანებულ ფურცლებს და მაძლევს.

***– რა წერია იმ ფურცლებზე?***

– „ნიკო, გვახსოვხარ, გვიყვარხარ!“ ეს ყველაფერი შენახული მაქვს. სულ რაღაცას ვაკეთებ, რომ დასაფიქრებლად დრო არ დავიტოვო. ამიტომ ვერ გეტყვით, როგორ გავიდა ეს პერიოდი ნიკოს გარეშე.

***– წლევანდელ 13 აპრილს როგორ ხვდებით?***

– „ფეისბუქში“ შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც სტუდენტებს და ნიკოს გულშემატკივრებს აერთიანებს. მათი ინიციატივით, ყველა დიდუბის პანთეონში საფლავთან შეიკრიბება 2 საათზე. მათ გადაწყვეტილი აქვთ, წაიკითხონ ლექსები და კიდევ ერთხელ გაიხსენონ ნიკო.

***– თქვენც მათ შეუერთდებით?***

– რა თქმა უნდა, მათ გვერდით ვიქნები.

***– წიგნის გამოცემას ხომ არ გეგმავთ?***

– ამჯერად წიგნს არ გამოვცემთ, რადგან ნიკოს წიგნი „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“ ბესტსელერია და მკითხველში დიდი მოთხოვნით სარგებლობს. გარდა ამისა, „რუსთავი ორზე“ უნდა იყოს ფილმი „ნიკო... აპლოდისმენტები“, რომელიც ნიკოს გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე კინოთეატრებში გამოვიდა.

# უკრაინის ექს-თავდაცვის მინისტრს 5 წლით პატიმრობა შეუფარდეს

კიევის პეჩორის რაიონის სასამართლომ ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, ვალერი ივაშჩენკოს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ივაშჩენკოს ბრალად ედება თანამდებობის ბოროტად გამოყენება ფეოდოსიის გემთმექანიკური ქარხნის ქონების გაყიდვისას.

გამოძიების ვერსიით, ექს-მინისტრის უკანონო ქმედებების გამო სახელმწიფოს 8,8 მილიონი აშშ დოლარის ზარალი მიადგა.

ივაშჩენკო თავდაცვის მინისტრის მოვალეობას 2009 წლის ივნისიდან 2010 წლის მარტამდე ასრულებდა.

იგი 2010 წლის მარტში დააპატიმრეს.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში უკრაინაში კიდევ ერთი ექს-მინისტრი გაასამართლეს.

გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრ გიორგი ფილიპჩუკს, რომელიც იულია ტიმოშენკოს კაბინეტის წევრი იყო, კიევის სოლომენსკის რაიონულმა სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ძალაუფლების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის.

მას გათავისუფლების შემდეგ კიდევ სამი წელი არ ექნება სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება. ჩამოართვეს პირველი რანგის სახელმწიფო მოსამსახურის წოდებაც.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ის დააპატიმრეს და საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს. მის წინააღმდეგ გენერალურმა პროკურატურამ საქმე 2010 წლის 13 დეკემბერს აღძრა. რამდენიმე დღეში ის დააპატიმრეს, მაგრამ 2011 წლის აპრილში გაუსვლელობის ხელწერილით სახლში გაუშვეს და ამ სტატუსით სარგებლობდა სასამართლომდე. ფილიპჩუკის ადვოკატმა ბრალდებას აბსურდული უწოდა და დასძინა, რომ განაჩენს გაასაჩივრებს.

# მდიდრები ცხოვრებას ლონდონში ირჩევენ



ლონდონმა დაიკავა პირველი ადგილი იმ ქალაქთა და ქვეყანათა შორის, სადაც მდიდარი ადამიანები ოჯახთან ცხოვრებას ირჩევენ, – იუწყება „ბი-ბი-სი“.

რეიტინგის მეორე ადგილზე – ნიუ-იორკია, ხოლო მესამე ადგილზე – ჰონგ-კონგი. მდიდრები საცხოვრებლად ირჩევენ ასევე პარიზს, სინგაპურს, მუმბაის, ჟენევას, პეკინსა და ბერლინს.

ქალაქების შერჩევა ეფუძნება ძირითად მაჩვენებლებს, მათ შორის ცხოვრების დონეს, ეკონომიკური საქმიანობის, პოლიტიკური გავლენას, კულტურულ ცხოვრებას, სოციალურ სტაბილურობას, განათლების სფეროს და სხვა.

ლონდონი – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე ტემზაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. ქალაქის სრული მოსახლეობა შეადგენს 7.385.575 ადამიანს, აქედან 2.700.000 შიდა ლონდონში ცხოვრობს, აგლომერაციაში კი – 10.645.800 ადამიანი (2005 წლის 10 ივნისი).

ქალაქის ისტორია იწყება რომაელების მიერ ლონდონიუმის დაარსებით. ლონდონის ისტორიული ცენტრია „სიტი“, დაახლოებით XIX საუკუნიდან ლონდონს ეკუთვნის არა მარტო სიტის, არამედ მის გარშემო არსებული დასახლებებიც. 1965 წლის 1 აპრილს დაარსდა „დიდი ლონდონი“. ლონდონმა ორჯერ უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, 2012 წელს იგეგმება ოლიმპიური თამაშების მესამედ ჩატარება.

ლონდონი დიდი ბრიტანეთის ფინანსური ცენტრია და მსოფლიო ფინანსურ ცენტრთაგან ერთ-ერთი. ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში. ქალაქს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სატრანსპორტო სისტემა. ჰითროუს აეროპორტი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში უცხოელ მგზავრთა რაოდენობით. ლონდონში არის მსოფლიოში ყველაზე მეტი, 480 უცხოური ბანკი. „ნიუ იორკ მეგეზინმა“ ლონდონი 21-ე საუკუნის მსოფლიოს დედაქალაქად დაასახელა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ბერასთან კიდევ კომედი შოუს“ ოთხი თანამშრომელი წავიდა

ეკა ირემაშვილი



„კომედი შოუს“ თანამშრომლების „ჯორჯიან დრიმ სტუდიოში“ (ქართული ოცნების სტუდია) 6 აპრილს დაწყებული გადაბარგება, ისევ გრძელდება. ბერა ივანიშვილის სტუდიაში თემო მჟავიას, ამიკო ჩოხარაძისა და ლევან გოგორელიანის იგივე ფაქოს შემდეგ, „კომედი შოუს“ კიდევ 4 თანამშრომელი გადავიდა.

ბერა ივანიშვილის სტუდიას ფაქოს ძმა ლაშა გოგორელიანი, თემურ ჭარელაშვილი, დავით გოგიშვილი, იგივე ციყვი და გუჯა ტომარაძე შეემატნენ. ამჟამად ბერასთან „კომედი შოუს“ 7 თანამშრომელი იმუშავებს. როგორც ირკვევა, ბერა ივანიშვილმა თავის სტუდიაში ნიკა გრიგოლიაც მიიწვია, თუმცა მისკენ კატეგორიული უარი მიიღო.

„კომედი შოუს“ ყოფილი თანამშრომლების თქმით, ისინი „ჯორჯიან დრიმ სტუდიოში“ გასართობ პროექტებს შექმნიან და მათ სხვადასხვა ტელევიზიებს შესთავაზებენ. ამით ისინი კიდევ უფრო განვითარდებიან და შემოქმედებითად მეტის კეთების საშუალება მიეცემათ.

როგორც ბერა ივანიშვილმა განმარტა, ის ამ ადამიანებთან დიდი ხანია მეგობრობს და აქვს სურვილი, საქმე მათთან ერთად აკეთოს.

– ჩვენ მეგობრები ვართ როგორც ადამიანურად, ასევე შემოქმედებითად, კარგი ადამიანები შევიკრიბეთ და საზოგადოება ჩვენი შრომის შედეგებს უახლოეს მომავალში იხილავს, – განაცხადა ბერამ.

„ჯორჯიან დრიმ სტუდიო“ იმუშავებს, როგორც სიმღერების ჩაწერასა და კლიპების გადაღებაზე, ასევე სხვადასხვა იუმორისტული პროექტების მომზადებაზე. პირველ ეტაპზე სტუდია მუშაობას იწყებს იუმორისტული ფილმების გადაღებაზე.

– მართლა კარგი ადამიანები შევიკრიბეთ და გვინდა, კარგი საქმეები ვაკეთოთ. ჩვენს ძველ სამსახურში თავის დროზე ბევრი რამ ვისწავლეთ, ახლა წამოვედით, რომ განვითარდეთ. ჩვენი სტუდია შექმნის დამოუკიდებელ პროდუქტს, რასაც ყველას შევთავაზებთ. ჩვენ მიერ შექმნილ ხარისხიან პროდუქციაში ვინც მეტს გადაიხდის, მას მივყიდით, – განაცხადა ფაქომ.

„კომედი შოუს“ თანამშრომელთა გადასვლა ბერა ივანიშვილის სტუდიაში კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა შეაფასა და მათ საქციელს გმირობა უწოდა.

– ბერამ მთხოვა, თავი შემეკავებინა განცხადებების გაკეთებისგან. ბიჭებს არ სურთ ამ ფაქტს პოლიტიკური სარჩული დაედოს. თუმცა, ვიტყვი რომ ნაბიჯი, რომელიც მათ გადადგეს პრაქტიკულად გმირობის ტოლფასია. საზოგადოება კარგად აცნობიერებს, რა დღეში არიან „რუსთავი 2“-ის, პირველი არხისა და ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები, რა ზეწოლის ქვეშ არიან ისინი. საქართველოში მუდამ არის განცდა თავისუფლებისთვის ბრძოლის და ამ ახალგაზრდებსაც სურთ, რომ თავისუფლები იყვნენ, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

დასრულდა თუ არა „კომედი გრუპის“ თანამშრომელთა ებრა ივანიშვილის სტუდიაში გადაბარგება, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

# სიტიდან წამსვლელთა სია იზრდება



ბრიტანული მედიის ცნობით, „მანჩესტერ სიტის“ მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი სეზონის დარჩენილ ნაწილში ფეხბურთელებს კიდევ უფრო გულდასმით დააკვირდება და მხოლოდ მას მერე გაარკვევს, ვის დატოვებს გუნდში და ვის მოუწევს „ქალაქელთა“ რიგების დატოვება.

თუმცა, უკვე გამოიკვეთა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც, სავარაუდოდ, გუნდს გამოეთხოვებიან. ესენი არიან: კარლოს ტევესი, ედინ ჯეკო, კოლო ტურე, მარიო ბალოტელი და ნაიჯელ დე იონგი.

იტალიელი სპეციალისტი არ აპირებს არც იჯარით გაშვებული ფეხბურთელების დაბრუნებას – „სიტი“ შეეცდება, ყველა მათგანი გაყიდოს. ესენი არიან ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), როკე სანტა კრუსი (ბეტისი) და უეინ ბრიჯი (სანდერლენდი).

რაც შეეხება პოტენციურ შენაძენთა სიას, აქ ჯერჯერობით მხოლოდ 2 გვარი ფიგურირებს – ედინსონ კავანი და ედენ აზარს. ოღონდ ერთია, უკანასკნელს თავად არ სურს „სიტიში“ გადასვლა, რადგან მიაჩნია, რომ ამ გუნდში მუდმივ სათამაშო პრაქტიკას ვერ ეღირსება.

 მ. ჟ.



hჰჯცჲჯჰლბ ,

**შვეულად**: 1. მხარე ავსტრიაში; 2. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 3. პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი; 4. რუკების ჩასადები, ცალ მხარეს გამჭვირვალე ბრტყელი ჩანთა; 8. ქართველი მხატვარი; 9. ზღვის კომბოსტო; 11. კბილების დაავადება; 12. სუფთა, ნატურალური ღვინის ძველებური სახელწოდება; 14. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 16. ენაჩლუნგობა; 17. სპილენძის საბადო ბოლნისის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი.

**თარაზულად**: 5. უბანი ქუთაისში; 6. ღუზის ამოსაზიდი ჯალამბარი გემზე; 7. დაკეპილი და შეკმაზული ბულიონში მოხარშული ხორცის გუნდა; 10. დაბალი, საამო ხმით მღერა; 13. ზღვრული ნორმა; 15. ძველი ბერძნების წარმოდგენით ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობდნენ; 18. თაფლიანი ფიჭა; 20. სამელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 22. მადის მოსაყვანი სპირტიანი სასმელი; 23. ატომური ბომბით განადგურებული ქალაქი იაპონიაში; 24. წითელი, წვნიანი მარცვლების მქონე მაგარმერქნიანი ხილი.

***შეადგინა თ.კოპალეიშვილმა***

## ობყდ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეხბ hჰჯცჲჯჰლთ,Bჩ გფცე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბოქაული; 2. ცეცე; 3. „სვანი“; 4. ალკოვი; 6. ფეხბურთელი; 9. იუმორი; 13. ოჩოკოჩი; 14. ვახშამი; 15. ჩაქურა; 17. ფრაჟე; 18. ვერნი; 20. პუფი.

**თარაზულად:** 1. ბოცვერი; 5. შელფი; 7. ღვეზელი; 8. ქეცბაია; 10. ზუთხი; 11. ნამყო; 12. „ქემელი“; 16. მახათა; 17. ფიჭვი; 19. ოქრო; 21. ბუფონი; 22. ეჟვანი; 23. პასივი; 24. ქილერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხენდრო; 2. ბურნუთი; 3. პამპლონა; 4. დინდგელი; 8. პერინიონი; 9. ადოპტაცია; 11. მაუზერი; 12. ქორო; 14. არვე; 16. პროგრამა; 17. მონბლანი; 19. ილიონი; 21. „თეთრა“.

**თარაზულად:** 5. საქარინი; 6. ბრაზილია; 7. ტარანტული; 10. ჰოპერი; 13. „აპოელი“; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. „არიანი“; 22. „ჰეინიკენი“; 24. ესრდოგანი.

# ისლამისტები ევროვიზია 2012“-ის ჩაშლით იმუქრებიან




აზერბაიჯანელი ისლამისტები ბაქოში დაგეგმილი „ევროვიზია 2012“-ის ჩაშლით იმუქრებიან.

ამის შესახებ ვაჰაბიტების განცხადებას პორტალი „თია.აზ“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ექსტრემისტები გეგმავენ, თავს დაესხან „ევროვიზიის“ მონაწილეებს, რითაც აპირებენ, „შური იძიონ განჯაში მათი თანამებრძოლის მკვლელობის გამო“. ისლამისტები ქიმიური და ცივი იარაღებით თავდასხმით იმუქრებიან.

თავად კონკურსს ვაჰაბიტები მუსლიმანებისთვის „კოშმარულს“ უწოდებენ.

– სატანის უსინდისო მოციქულები ნუ იფიქრებენ, რომ მშვიდად გადაადგილებას შეძლებენ, რადგან მათზე განხორციელდება თავდასხმები და მათ ვერავინ უშველით, – ნათქვამია ვაჰაბიტების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ევროვიზია 2012“ ბაქოში 22-26 მაისისთვის არის დაგეგმილი. საქართველოს აღნიშნულ კონკურსზე ანრი ჯოხაძე წარადგენს.

რაც შეეხება ვაჰაბიზმს, იგი წარმოადგენს სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობას. მას მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში დღევანდელი საუდის არაბეთის ტერიტორიაზე მოღვაწე თეოლოგმა მუჰამედ იბნ აბდ-ალ-ვაჰაბმა დაუდო სათავე. მან და მისმა მიმდევრებმა უკიდურესობამდე განავითარეს მეთოთხმეტე საუკუნის რელიგიური მოღვაწის, იბნ ტეიმის იდეები ისლამის განწმენდისა და რეტროგრადული განახლების შესახებ. არავითარი წმინდა ადგილები და წმინდანები, რიტუალების მაქსიმალური გაუბრალოება და ძველი (მუჰამედის დროინდელი) ისლამური „უმათემის“ წესებით ცხოვრება – ეს იყო მთავარი საფუძვლები აბდ ალ-ვაჰაბის ქადაგებისა, რომლის მიმდევრები საკუთარ თავს სულაც არ უწოდებენ „ვაჰაბიტებს“, არამედ – ჭეშმარიტ მუსლიმანებს, რწმენით გაერთიანებულებს („ალ-მუვაჰიდენ“).

ვაჰაბიტური იდეოლოგიის ძირითად ცნებას წარმოადგენს პრინციპი ერთმორწმუნეობის შესახებ. მხოლოდ ალაჰია ღირსი თაყვანისცემის და, აქედან გამომდინარე, არ არსებობენ წმინდა ადგილები და წმინდანები, – ამტკიცებენ ვაჰაბიტები.

ყურანი უნდა იყოს ყველა მუსლიმანისათვის ამოსავალი წერტილი. ასევეა უარყოფილი მუჰამედის კულტი, რადგანაც ხალხსა და ღმერთს შორის არავითარი შუამავალი არ უნდა არსებობდეს.

სამაგიეროდ, ვაჰაბიზმი აღიარებს მხოლოდ ერთღმერთიანობას (ანუ „ტავხიდ“-ს), რომლის მიხედვითაც მხოლოდ ალაჰია თაყვანისცემის სიმბოლო. „ტავხიდის“ საფუძველია ცნება „ლა ილაჰა ილლალლაჰი“, ანუ არავინ არსებობს ღირსი თაყვანისცემისა, ალაჰის გარდა.

ვაჰაბიტური ერთ-ერთი სალიტერატუროსახელმძღვანელო წყაროს მიხედვით, რომელიც გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ამ რელიგიური მიმდევრებისათვის განკუთვნილ კონსპექტს, პირდაპირაა აღიარებული შემდეგი: „...მუსლიმანმა უნდა მიიღოს ისლამის სწავლება, რომელიც ასახულია წმინდა ყურანში – ალაჰის სიტყვაში და სუნაში – წინასწარმეტყველ მუჰამედის გამონათქვამებში. ისლამი ყველა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ კითხვებზე სცემს პასუხს. უზენაესი ალაჰი არ მიიღებს არც ერთ სხვა რელიგიას და სხვა კონსტიტუციას, შარიათის გარდა. მშვიდობა და დღეგრძელობა იმას, ვინც მისდევს ჭეშმარიტ გზას და მისდევს წინასწარმეტყველის ქადაგებებს. თითოეული მუსლიმანი ვალდებულია, თავისი ცხოვრებაააწყოს ყურანისა და სუნის მიხედვით. ისლამი მოუწოდებს თავის მქადაგებლებს, მიიღონ ცოდნა და განათლება. ისლამი ცნობს სამართლიანი გზით მოპოვებულ სიმდიდრეს. ისლამი სამართლიანობის რელიგიაა. ალაჰს უყვარს სამართლიანი ხალხი. ისლამი ჯიჰადისა და ცხოვრების რელიგიაა. ისლამი მოუწოდებს ყველა მის მიმდევარს, არ დაინანოს თავისი ქონება, ძალისხმევა და სიცოცხლეც კი ისლამის გამარჯვებისათვის. ისლამი უარყოფს პრაგმატიზმსა და იმ იდეების შემოტანას, რომლებიც ამახინჯებენ სიწმინდესა და სილამაზეს, კერძოდ, სხვადასხვა სახის სიახლეებსა და ცრურწმენებს.

ვაჰაბიზმის ქვაკუთხედი დებულებაა – „საღვთო ომი“ ყველა ურჯულოსა და „გზააცდენილი მუსლიმანის“ წინააღმდეგ (მათი აზრით ჯიჰადი ეა არის პირველ რიგში შეიარაღებული ბრძოლა).

# სირიაში საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილია

სირიაში ძალაში შევიდა გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის სპეციალური წარგზავნილის, კოფი ანანის სამშვიდობო გეგმა, რომელიც საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას ითვალისწინებს.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, რომელიც სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებს ეყრდნობა, ამჟამად საბრძოლო მოქმედებები, როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური ძალების მხრიდან არ ფიქსირდება.

სირიის სახელმწიფო ტელევიზიამ გამოაქვეყნა ხელისუფლების განცხადება, რომლის მიხედვითაც ჯარი და უშიშროების ძალები წყვეტენ საბრძოლო მოქმედებებს.

სირიის ოპოზიციის განცხადებით, მათ ეჭვი ეპარებათ, რომ ხელისუფლება საკუთარ პირობას დაიცავს. ხელისუფლება ექვსპუნქტიანი გეგმის თანახმად აღებულ ვალდებულებებს თავისებურად ასრულებს.

მართალია, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის სამთავრობო ჯარები ამბოხებულთა ქალაქებს ტოვებენ, მაგრამ პარალელურად საცხოვრებელ სახლებს წვავენ და სურსათ-სანოვაგის მარაგს ანადგურებენ.

– საჯარისო დანაყოფებმა დაიწყეს ყველა ქალაქის დატოვება, ისინი შედარებით მშვიდი დასახლებული პუნქტებიდან თავიანთი ძირითადი დისლოკაციის ბაზებს უბრუნდებიან, იმ დასახლებული პუნქტებიდან კი, სადაც ამბოხებულები რეჟიმის ძალებს განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, ჯარისკაცები შორს არ მიდიან და პოზიციებს გარეუბნებსა და შემოგარენში იკავებენ, – განუცხადეს საინფორმაციო სააგენტო „ეი პი“-ს სირიის ხელისუფლების ანონიმურმა წყაროებმა.

საერთაშორისო თანამეგობრობის საკმაოდ დიდი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ სირიის ხელისუფლება აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს და ეცდება, დრო გააჭიანუროს. ასეთი პოზიცია ცოტა ხნის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენელმა სიუზან რაისმაც დააფიქსირა.

როგორც იგი ამბობს, უშიშროების საბჭოს წევრების უმრავლესობამ მისი პოზიცია გაიზიარა.

სირიაში განვითარებული მოვლენების ფონზე დასავლეთში უკვე ისმის განცხადებები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის შეფასება სათანადოდ ვერ მოხდა და, არ არის გამორიცხული, სირიაში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნაც გახდეს საჭირო.

სირიის პრეზიდენტის განზრახვის არასათანადოდ შეფასებაზე, პირველ რიგში, განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა და ამჟამად გაეროსა და არაბული ლიგის საგანგებო წარმომადგენელმა კოფი ანანმა გააკეთა.

მისი თქმით, სირიის კრიზისის სიღრმის არასწორად შეფასების გამო საჭირო გახდა რეჟიმზე პირდაპირი ზეწოლა ქალაქებიდან ჯარების გამოსაყვანად. კოფი ანანის თქმით, პარალელურად, შესაძლებელი გახდა სირიის ოპოზიციასთან მოლაპარაკება იმისთვის, რომ მათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიეღოთ.



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივანი ასევე აღნიშნავს, რომ რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლების გაგზავნის აუცილებლობაზე წინადადებას მოამზადებს.

კონკრეტულად საუბარი შესაძლოა იყოს ლიბანის საზღვრებთან და სირიის სამხრეთ-დასავლეთ რაიონების მახლობლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო კონტინგენტის 200-250 ოფიცრის განთავსებაზე.

საამისოდ კი, რასაკვირველია, საჭირო გახდება გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია, რომლის მიღებაც არცთუ ისე მარტივი პროცედურა იქნება. ასეთი შეფასებების უფლებას საკუთარ თავს დასავლური მედია იმის გამო აძლევს, რომ ჩინეთმა და რუსეთმა, არაბულ ლიგასთან ერთად, კოფი ანანის ხელმძღვანელობით ე.წ. საგზაო რუკაზე მუშაობის მიუხედავად, დღემდე არაერთხელ დაბლოკა უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, თანაც დამკვირვებლების გაგზავნა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებული პირობა არ დაირღვევა, ეს კი აპრილის შუა რიცხვებში გამოჩნდება.

სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები გასული წლის მარტში დაიწყო. დემონსტრაციები მალევე გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტსა და ძალადობაში.

პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს არაერთხელ დასდეს ბრალად საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ სისასტიკე და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, სირიაში შეიარაღებულ დაპირისპირებას მთელი ამ ხნის განმავლობაში 9 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. მათი დიდი ნაწილი, უბრალოდ, მშვიდობიანი მოსახლეობა იყო, მაგრამ საბრძოლო ოპერაციებისას არც ადგილობრივი და დასავლური მედიის წარმომადგენლები დაინდეს, რასაც დიდი რეზონანსიც მოჰყვა.

ოპოზიცია, რომლის წარმომადგენლებიც ე.წ. ნაციონალური საბჭო არაბული და დასავლური სამყაროს ნაწილმა ლეგიტიმურად ცნო, ბაშარ ალ-ასადის გადადგომას დღემდე მოითხოვს.

# ავღანეთი საკუთარი თავის დაცვას შეძლებს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ავღანეთში იმყოფება. ინფორმაციას ამის შესახებ ნატოს პრესსამსახური ავრცელებს.

კომუნიკეს თანახმად, ვიზიტის დროს ანდერს ფოგ რასმუსენი ავღანეთის პრეზიდენტს ჰამიდ ყარზაისა და ავღანეთის მთავრობის სხვა წევრებს შეხვდება.

რასმუსენი ასევე შეხვდება ავღანეთში საერთაშორისო ძალების მთავარსარდალ ჯონ ალენს, ნატოს სამოქალაქო წარმომადგენელს და ელჩ საიმონ გესს.

ანდერს ფოგ რასმუსენი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ავღანეთისთვის ქვეყნის უსაფრთხოების ჩაბარება რაც შეიძლება მალე მოხდება.

ამის შესახებ მან ავღანეთთან ახლოს, ქაბულში სპეციალური სამხედრო წვრთნების ბანაკში გააკეთა.

დაგეგმილია, რომ ავღანეთმა 2014 წლისთვის შეძლოს ბოლომდე საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის უსაფრთხოებაზე, რომელსაც ამჟამად საერთაშორისო ძალები იცავენ.

რასმუსენმა აღნიშნა, რომ ნატო 2014 წლის შემდეგაც გააგრძელებს ავღანეთის არმიის წვრთნებისა და სწავლებების დაფინანსებას.

ამ ვიზიტის ფონზე ავღანეთში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად ნატოს ორი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.



ბი-ბი-სის ინფორმაციით, ნატოს სარდლობა ამ დროისთვის არ ასახელებს, თუ რომელი ქვეყნის კონტინგენტის წარმომადგენლები არიან დაღუპული.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ასევე დაღუპულია ერთი ავღანელი.

# რუსეთის პრეზიდენტს მხოლოდ ორი ვადით აირჩევენ

რუსეთის დუმის წინაშე მთავრობის თავმჯდომარის რანგში ბოლო წარდგომისას ვლადიმერ პუტინი გამოვიდა ინიციატივით, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გახდეს პრეზიდენტი მხოლოდ ორი ვადით, გამოდის, რომ პუტინი ერთადერთი ადამიანია რუსეთში, რომელსაც საპრეზიდენტო თანამდებობაზე ყოფნა ახალი კანონის ძალაში შესვლამდე არა ორი, არამედ ოთხი ვადით გამოსდის.



პუტინმა ასევე განაცხადა, რომ გონივრულია წინადადება პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ორი ვადის შესახებ და სიტყვის – „ზედიზედ“ ამოღება შესაბამისი კანონის მუხლიდან.

– ამოვიღოთ კონსტიტუციიდან „ზედიზედ ორი ვადით“ და გავაკეთოთ „ორი ვადით“ – ეს გონივრულია, – განაცხადა პუტინმა.

– კანონს უკუძალა არა აქვს და იმ მომენტიდან, როცა მას მიიღებენ, მე მექნება საშუალება, ვიმუშაო ახლა და მომავალ ვადაში – აქ პრობლემა არაა. თუ სიტუაცია იქნება და მე მომინდება, – განაცხადა პუტინმა.

ვლადიმერ პუტინი (დ. 7 ოქტომბერი, 1952, ლენინგრადი რუსეთის სფსრ) – რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2000-2008 წლებში. ამ პოსტზე შეცვალა ბორის ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს.

2008 წლის 8 მაისს გახდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კვლავ დაბრუნდა პრეზიდენტის პოსტზე.

*მიამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუქჯდბფჴჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

„ქართული პარტია“ მწუხარებას გამოხატავს პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრის, ქალბატონი თეო ტლაშაძის მამის

**ვალერიან დავითის ძე ტლაშაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუქჯდბფჴჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფლფვლტ8

## TV პროგრამა

პარასკევი
13 აპრილი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** თოქ-შოუ "არენა" **13.50** სერ. **"ათი მცნება"** **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ.**"მიმინო და მტრედი"** **21.30** გააგრძელე საქართველოს ისტორია **22.00** მხ. ფილმი **"ზოგი რამ ჰენრის შესახებ"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **სასწაული მილანში"** (სუბტ.) **02.50** მხ. ფილმი **"ძმა, მზე და მთვარე"** **05.05** მხ. ფილმი **"მეფე დავითი"** (რ. გირი) **07.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00** დოკ. ფილმი **11.00** ტრანსლაცია პარლამენტიდან **19.00, 22.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"ათი მცნება"** **01.00** მხ. ფილმი **"დიდი ღამე"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** ნანუკას შოუ (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ქარ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** **100** გრადუსი **00.50** თბილისი ლაივი **02.15** მხ. ფილმი **"საქორწინო წვეულებბა"** (მ. დუგლასი) **03.50** მხ. ფილმი **"კასაბლანკა"** (ი. ბერგმანი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** პროფილი (გან.) **18.45** სერ.**"მიუვარხარ ლოლა"** **19.50** სერ.**"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.30** კომედი შოუს სკეტჩები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** მხ. ფილმი **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ნოეს კიდობანი"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** ბიბლიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია **21.00** მხ. ფილმი **23.00 105** წუთი (პირდ.) **01.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.15** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **13.00** სამედიცინო გად."იმპულსი" **13.30, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"სიამაყე"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **19.35** სერ. **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "სიჩუმის მცველნი" **11.10** აქტუალური თემა **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დოკ. ფილმი "გზა" **13.05** დოკ. ფილმი "ლიგურკე" **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი". **16.40** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.05** დოკ. ფილმი "გარდამოხსნა". **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.20** დიდ ხარ შენ უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ. ფილმი "ჩიორები" **19.40** დოკ. ფილმი "გზა მაცხოვრისა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **23.40** დიდი პარასკევი **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ზ aprili


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,639
ევრო —2,1551
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114
რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9




# მედეა ძიძიგურის იუბილეს გრიბოედოვის თეატრში აღნიშნავენ

ეკა ირემაშვილი



**ქართველი მომღერლის მედეა ძიძიგურის საიუბილეო საღამო ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება.**

17 აპრილს საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ მომღერლის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ რუსული რომანსის საღამოს „გახსოვდე“ ჩაატარებს.

როგორც რუსული კლუბის წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, ეს საღამო მთლიანად მედეა ძიძიგურის ხსოვნას და მის მოღვაწეობას მიეძღვნება. კონცერტზე მოსული მაყურებლები დატკბებიან ცნობილი სიმღერებით, რომლებიც შეუდარებელი მედეა ძიძიგურის სავიზიტო ბარათებად იქცნენ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები ნანული აბესაძე, ირმა სოხაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, მაია ჯაბუა, ნუკრი კაპანაძე, ლაშა ღლონტი, „ფორტე“, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია. საღამოს სტუმრები იქნებიან ქალბატონი მედეას მეგობრები, ახლობლები და კოლეგები. ისინი, ვისთანაც იგი მეგობრობდა და მუშაობდა წლების განმავლობაში.

— მედეა ძიძიგური გამოჩენილი ქართველი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი და ღირსების ორდენის კავალერია. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის პარალელურად იგი მღეროდა ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლში. სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, საქართველოს ტელერადიოკომიტეტის მუსიკალური რედაქტორი, ხოლო 1994 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. მღეროდა ანსამბლებთან „რერო“, „დიელო“, „სიონარი“. მედეა ძიძიგურს ჰქონდა მეტად კოლორიტული ხმა და შესრულების ორიგინალური მანერა. განსაკუთრებით კარგად ასრულებდა ქალაქურ სიმღერებს, ასევე ქართულ, რუსულ და ბოშურ რომანსებს. მედეა ძიძიგური 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მედეა ძიძიგურზე რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ დოკუმენტური ფილმიც გადაიღო სახელწოდებით „მღერის მედეა ძიძიგური“. ჩვენმა კლუბმა გამოთქვა სურვილი ამ შესანიშნავი მომღერლის 70 წლის იუბილე გრანდიოზული რომანსების საღამოთი აღენიშნა, — განაცხადა ნინო წითლანაძემ.

# ფაჩულაიმ და გარნეტმა მშვიდობიანად ითამაშეს



რეგულარული სეზონის ძალიან პრინციპული მატჩი წააგეს ატლანტელებმა. ჯორჯიული გუნდი აღმოსავლეთში ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ „ბოსტონს“ სტუმრად ხვდებოდა და გამარჯვების შემთხვევაში კონფერენციაში მეოთხე ადგილზე აინაცვლებდა, რაც პლეი ოფში მოედნის უპირატესობას დაუბევებდა, თუმცა, ეს ვერ მოახერხა და შეხვედრა დამატებით დროში დათმო — 86:88.

მატჩი მეტად დაძაბული, ამ გუნდების დაპირისპირებებს რომ ახლავს ხოლმე, ისეთი გამოდგა. შეხვედრა თანაბრად მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით მეორე მეოთხედს, რომლის ბოლოსაც ატლანტელებმა 8-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს და მომდევნო პერიოდში ეს უპირატესობა გაანიავეს.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მატჩის ბოლო ნაწილი. გადამწყვეტი მეოთხედის წინ „ატლანტა“ 1 ქულით იგებდა, საბოლოოდ კი მატჩისთვის განკუთვნილი დრო ფრედ — 84:84 დასრულდა. დამატებითი დროის პირველსავე წუთზე რაჯან რონდოსა და პოლ პირსის სროლებით „ბოსტონი“ 88:84 დაწინაურდა, თუმცა კირკ ჰინრიხმა ზუსტი სროლით ატლანტელთა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეკვეცა. წინ დამატებითი დროის მთელი 3 წუთი იყო, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამის შემდეგ ბურთი კალათში აღარ ჩაეშვა. ხუთწუთეული „ბოსტონის“ 4:2 გამარჯვებით დასრულდა, რაც მასპინძელთა წარმატებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

ამ შედეგის შემდეგ სამ გუნდს — „ბოსტონს“, „ატლანტას“ და „ორლანდოს“ მოგება-წაგებათა თანაბარი თანაფარდობა დაუგროვდათ — 34:24. სწორედ ეს გუნდები ამ მიმდევრობით ინაწილებენ აღმოსავლეთ კონფერენციის 4-6 ადგილებს.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას ურიგოდ არ უთამაშია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისმა ტრადიციულად პრიციპულმა ოპონენტმა კევინ გარნეტმა უკეთესი შედეგი აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ ბოსტონელთა უკანახაზელმა რონდომ თამაში სამმაგი დუბლით (10 ქულა, 10 მოხსნა, 20 პასი) დაასრულა, „სელტიქსში“ საუკეთესო შედეგის მქონე კალათბურთელად გარნეტი აღიარეს.

ვეტერანმა სუპერვარსკვლავმა 33 წუთში 22 ქულა, 12 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 13 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 8-დან 5 ორქულიანი და 7-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 40 წუთი ითამაშა, ფაჩულიას ბურთი ერთხელაც არ დაუკარგავს.

ატლანტელებს მორიგი მატჩიც მეტად პრინციპული აქვთ. ფაჩულიას გუნდი 14 აპრილს ორლანდოში „მეჯიქს“ ხვდება.

მ. ჟ.


# 28 მარტიდან

ეყბრფქეჰბ გჰჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 22-ე ტომი

ფბყინფბყბ

3!)) ობუყიბ4 იცღბც
ბვ ფღფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7
ჰჯვცჯსფნ ღბღბ hღფჯბ
ღფნჯღტც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვტნყბტჰტ,ფცფ
ღფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ობუყბ ტჰსფლ
* კფჰბ





.ღცჯფვ უფბსღფჯბცობყცს=
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

fcnhjghjuyjpb
!# ფგჰბჯბცსღბც

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — დაისვენეთ მშვიდ სიტუაციაში, არ გადაიღალოთ. **ტყუპები** — ნურავის ენდობით, საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — თავს მიხედეთ, რეჟიმი შეიმუშავეთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, არ მოდუნდეთ. **ღრიანკალი** — სახლში კარგი ახალი ამბავია მოსალოდნელი. **მშვილდოსანი** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, საქმესაც მოაწესრიგებთ. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ყოფნა მოგწონთ, ბრწყინვალე ფორმაში ხართ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ტყუილად ნერვიულობთ, ნამდვილად არ ღირს.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტც=

hჰჯცღჯჰლბ ფ

**შვეულად**: 1. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი მცენარე; 2. ერთ-ერთი კონტინენტი; 3. ძვირფასთვლიანი ქალის სამკაული; 4. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 6. აეროპორტი ამსტერდამში; 9. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 13. უფროსი მწყემსი; 14. მატყუარა, ყალბის მქნელი; 15. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 17. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 18. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკული სამხედრო-საზღვაო ბაზა; 20. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში.

**თარაზულად**: 1. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 5. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 10. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 11. საშემოდგომო ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 12. ხელოვნების მუზეუმი რომში; 16. ყოველთვიური ქართული ჟურნალი; 17. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 19. კუთხე საქართველოში; 21. დიდი სამგზავრო-სატვირთო გემი; 22. ერთად აკინძული ილუსტრაციების, სურათების, ნახაზების კრებული; 23. აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 24. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

